საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 6 ივნისი. 2019 წ. №113 (8779) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

სანამ რუსეთი „ცოცხალია“, ინგუშთა ოცნება წყლის ნაყვას ჰგავს!

9

2007 წლის 7 ნოემბერს აქციის დარბევის დავალება ვანო მერაბიშვილმა გასცა!

3

კახა კალაძე: ჩემთვის თბილისის მოსახლეობა ძალიან მნიშვნელოვანია!

6

საზოგადოების „ნდობის ეროზია“ მწვავდება...

საქართველოს საუკეთესო შედეგები აქვს, თუმცა ოლიგარქების გავლენა და კანონის უზენაესობა კვლავ გამოწვევაა

5

კრემლის ლანძღვა-გინებით ფონს ვერასოდეს გავალთ!

8

მაკედონელის სიკვდილის საიდუმლო

11

„თუ სახელმწიფოს ენდობი, მაშინ საპენსიო ფონდსაც უნდა ენდო, ხოლო, თუ სახელმწიფოს არ ენდობი, არც სიბერე გაქვს გარანტირებული და არც ახალგაზრდობა“

4

ნატოს გემების საქართველოს პორტებში შემოსვლაზე დიპლომატიური ნებართვები მარტივდება

2

ლუგარის ცენტრში დიდი უსაფრთხო საქმე კეთდება

საქართველოს პრეზიდენტი რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრს ეწვია და მისი მუშაობის სპეციფიკას გაეცნო. ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

სალომე ზურაბიშვილი კვლევითი ცენტრის თანამშრომლებს შეხვდა და ბიოუსაფრთხოების მე-3 დონის განსაკუთრებით საშიში კულტურების ეროვნული საცავი, ზოგადი ბაქტერიოლოგიის, ვირუსოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიისა და გენომის ლაბორატორიები დაათვალიერა.

პრეზიდენტს ცენტრში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ უმასპინძლეს.

ამირან გამყრელიძემ პრეზიდენტს ინფორმაცია მიაწოდა ლუგარის ცენტრის ბიოუსაფრთხოების და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის ზოგადი ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის მუშაობის მიმართულებების შესახებ, რომლის ძირითადი ფუნქციებია: დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების (ბაქტერიები, სოკოები, უმარტივესები) დიაგნოსტიკა, მორფოლოგიის, კულტურალური თვისებების, ბიოქიმიის შესწავლა; მიკროორგანიზმების მგრძნობელობის შესწავლა ანტიბიოტიკების და სადეზინფექციო პრეპარატების მიმართ.

„ამ კუთხით საქართველო გამორჩეულია მთელ რეგიონში და ეს ლაბორატორია თავისი სტანდარტებით ყველაზე მაღალი დონის ლაბორატორიაა და ამერიკის ატლანტას ცენტრთან თანამშრომლობა ნიშნავს იმას, რომ საყოველთაოდ აღიარებულია მისი სტანდარტები და ტექნოლოგიები. აქ ყველაფერი დაცულია უმაღლესი სტანდარტებით, ისე, როგორც ევროპულ ქვეყნებშია. აქ ვართ ევროპაში და ევროპაში ვართ ამერიკის დახმარებით. ძალიან საინტერესო და ძალიან დიდი საქმე კეთდება. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ცენტრის თანამშრომლებს და მივმართო მათ, ვინც ფეიკ ნიუსებს ავრცელებს – მოვიდნენ აქ, ნახონ და გაიგებენ, როგორი ცრუ ინფორმაციაა შემოსული ჩვენი მეზობელი სხვადასხვა ქვეყნიდან და დიდი მეზობლისგან, რაც პირდაპირ მიმართულია იმისკენ, რომ ქვეყანა დაზიანდეს და არა იმისკენ, რომ საქმე გაკეთდეს“, –აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

ევროკავშირში აშშ-ის ელჩი საქართველოს პრემიერ-მინისტრს სტუმრობისთვის მადლობას უხდის

ევროკავშირში აშშ-ის ელჩი გორდონ სონდლენდი საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს სტუმრობისთვის მადლობას უხდის.

„მქონდა პატივი, მემასპინძლა საზეიმო ვახშმისთვის, რომელმაც შეკრიბა ევროპის რამდენიმე მნიშვნელოვანი ლიდერი და ამერიკელი მაღალჩინოსნები, რათა მეტად

გაგვეძლიერებინა აშშ-ევროპის ისედაც უმნიშვნელოვანესი პარტნიორობა“, – წერს ევროკავშირში აშშ-ის ელჩი გორდონ სონდლენდი „ტვიტერში“ და მიწვეულ სტუმრებს, მათ შორის, საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს სტუმრობისთვის მადლობას უხდის.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში აშშ-ის ელჩთან ვახშამზე საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან ერთად იმყოფებოდნენ უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი, რუმინეთის პრემიერ-მინისტრი ვიორიკა დენჩილა, პოლონეთის პრეზიდენტი ანჯეი დუდა, ევროპარლამენტის პრეზიდენტო ანტონიო ტაიანი, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი და უმაღლეს წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ფედერიკა მოგერინი, ასევე აშშ-ის პრეზიდენტი სიძე და მრჩეველი ჯარედ კუშნერი და აშშ-ის ენერგეტიკის მდივანი რიკ პერი.

ზელენსკი და ბახტაძე ერთმანეთს ბრიუსელში შეხვდნენ

საქართველოს პრემიერ მინისტრის მამუკა ბახტაძისა და უკრაინის ახლად არჩეული პრეზიდენტის ვლადიმირ ზელენსკის შეხვედრის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი განმარტებას აკეთებს.

„რაც შეეხება ბრიუსელში გაჩერებას, ეს იყო ბოლო წუთს გადაწყვეტილი, რადგანაც ჩვენმა მეგობარმა, მამუკა ბახტაძის პირადმა მეგობარმა და საქართველოს დიდმა მეგობარმა გორდონ სონლანდმა, რომელიც გახლავთ აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ევროკავშირში, გამართა მიღება ბრიუსელში. მიღება მიძღვნილი იყო აშშ-ს დამოუკიდებლობის დღისადმი და, რადგანაც ის მიემგზავრება, გადმოიტანა ერთი თვით ადრე. ბოლო მომენტში კი მოხდა შეთანხმება, რომ ბრიუსელის გავლით და ამ მიღებაზე დასწრების შემდეგ პრემიერი გაემგზავრებოდა აშშ-ში. არანაირი სხვა შეხვედრა არ ყოფილა ამ მიღების დროს. ბუნებრივია, იქ იყო ძალიან ბევრი მაღალი რანგის სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიდან, სადაც პრემიერ-მინისტრს ჰქონდა შესაძლებლობა, მათთან კომუნიკაციის, მათ შორის ვლადიმირ ზელენსკისთან, მაგრამ ამას არ შეიძლება, ვუწოდოთ ოფიციალური შეხვედრა ან მოლაპარაკებები. ასეთი რამ არ ხდება ბუნებაში, დიპლომატიური პრაქტიკა არ იცნობს მსგავსი ფორმატის ფარგლებში ოფიციალურ მოლაპარაკებებს“, – განმარტა ზალკალიანმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა განმარტა, ბახტაძისა და ზელენსკის შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა.

„ეს დაადასტურა კიდეც უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ. მათ ერთმანეთი გაიცნეს, ეს იყო და ეს. არანაირ თემებზე იქ საუბარი არც ხდება, არასერიოზულია, რომ ასეთი მიღებების დროს მნიშვნელოვან თემებზე იყოს საუბარი. ეს დღის წესრიგში საერთოდ არ იდგა და არც დგას“, – განაცხადა ზალკალიანმა.

სალომე ზურაბიშვილი: გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ჩვენი დიპლომატიური ძალისხმევის წარმატებაა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შესახებ რეზოლუციის მიღებას ეხმიანება.

„გაეროს გენერალურმა ასამბლეამ კიდევ ერთხელ მიიღო საქართველოს რეზოლუცია, რომელიც ადასტურებს იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათ შთამომავალთა უფლებას დაბრუნდნენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ეს ჩვენი დიპლომატიური ძალისხმევის წარმატებაა და დიდი იმედი იმ ათასობით იძულებით გადაადგილებული პირისთვის, რომელიც სახლში დაბრუნებას ელოდება“, – დაწერა სალომე ზურაბიშვილმა მიკრობლოგ „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე. შეგახსენებთ, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდანდევნილთა შესახებ რეზოლუცია მიიღო.

ნატოს გემების საქართველოს პორტებში შემოსვლაზე დიპლომატიური ნებართვები მარტივდება

ნატოს მუდმივმოქმედი საზღვაო შენაერთების, ასევე ნატოს ოპერატიულ დაქვემდებარებაში მყოფი ხომალდებისთვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და პორტებში შემოსვლაზე დიპლომატიური ნებართვები გამარტივდება. კანონპროექტი უკვე მომზადებულია და კონკრეტულ უწყებებთან თანხმდება, – ამის შესახებ საქართველოს მთავრობის 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშშია ნათქვამი.

ანგარიშისვე მიხედვით, გაიზარდა ნატოს მუდმივმოქმედი საზღვაო შენაერთების საპორტო ვიზიტების ინტენსივობა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. თავის მხრივ, საქართველო მზადაა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს შავი ზღვის აუზის რეგიონის მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში. ამავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ქართული მხარე მზადაა, შესაძლებლობების ფარგლებში, მიიღოს და მხარდაჭერა აღმოუჩინოს შავ ზღვაში მყოფ ალიანსისა და წევრი ქვეყნების ხომალდებს.

ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობასთან (MARCOM) 2017 წელს გაფორმებული ტაქტიკური მემორანდუმის საფუძველზე, ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრი (JMOC) ყოველკვირეულ რეჟიმში ცვლის ინფორმაციას ნატოს ნაოსნობის ცენტრთან (NATO Shipping Center). ამ ეტაპზე მიმდინარეობს მხოლოდ არასაიდუმლო ინფორმაციის გაცვლა.

2018 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის ახალი დებულება, სადაც გაიწერა ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები და უწყებათშორისი თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები.

2007 წლის 7 ნოემბერს აქციის დარბევის დავალება ვანო მერაბიშვილმა გასცა!



ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე შალვა ჯანაშვილი აცხადებს, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს აქციის დარბევის დავალება აქციის დაშლის წინა დღეს მერაბიშვილმა მისცა.

შალვა ჯანაშვილი ბრალდების მხარის მოწმის სახით 7 ნოემბრის აქციის დაშლის და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის საქმეზე იკითხება. მისი თქმით, აქციის დასაშლელად წინა დღესვე დაიგეგმა ცრემლსადენი გაზის და რეზინის ტყვიების გამოყენება.

„2007 წლის ნოემბერში დაიწყო მიტინგები და საგანგებო მდგომარეობაზე გადავედით. 6 ნოემბერს დამიბარა მინისტრმა და მითხრა, რომ 7 ნოემბერს მზადყოფნაში უნდა იყოო. გავიარეთ დეტალები — რამდენი ხალხი მყავდა, აღჭურვილობა იყო თუ არა წესრიგში და ა.შ. შეხვედრაზე მხოლოდ ჩვენ ვიყავით. ეს შეხვედრა ორთაჭალაში, სამინისტროს შენობაში შედგა.

ვანო მერაბიშვილმა მითხრა, რომ პოლიციური ძალებით, რუსთაველის გამზირი მოშიმშილეებისგან და მომიტინგეებისგან უნდა გასუფთავებულიყო. 100 კაცი მეხმარებოდა სასჯელაღსრულების სპეცრაზმიდან. ჯამში, დაახლოებით 400 კაცი მყავდა. შეიარაღებული ვიყავით, წყლის ჭავლის მანქანებით, ხმის გადამცემებით, გაზით და რეზინის ტყვიებით.

დილით, შვიდ საათზე ჩვენი ადგილი დავიკავეთ. ხალხის მასა რომ მოგროვდა, მინისტრმა დამირეკა და მითხრა დაიწყე დაშლის ღონისძიებაო. მე გადავეცი ბრძანება განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს უფროსს, კუხიანიძეს და ისინიც დაიძრნენ. პირველი შეხება ხალხთან იყო წყლის ჭავლის გამოყენება. იყო აგრესიული ქმედებები იქიდან. ამის შემდეგ რეზინის ტყვიები და გაზიც გამოვიყენეთ. ნელ-ნელა ვაწვებოდით და ჩავედით თავისუფლების მოედანზე.

ორი საათი დაგვჭირდა ტერიტორიის დასაკავებლად. ამის შემდეგ, მინისტრმა დამირეკა და მომცა დავალება რიყეზე წავსულიყავი და იქაც გამესუფთავებინა ტერიტორია. ვუთხარი, რომ ცოტა ხალხი მყავს და დამხმარე ძალა მჭირდებოდა. კარგიო, მითხრა, მივხედავ ამ საკითხსო. მერე დამირეკა, რომ გენშტაბი მოგეხმარებაო. გამომიგზავნა პირადი შემადგენლობა, რომელმაც გადაკეტა ქუჩები. ამის მერე, გადავედით რიყეზე . გამოიძახეს სხვა პოლიციური დანაყოფებიც. მე ჩემები ჩავიყვანე. რიყეზეც განხორციელდა დაშლის ღონისძიება“, — განაცხადა ჯანაშვილმა.

რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, მისი თქმით, რიყის გაწმენდის შემდეგ, მინისტრმა მერაბიშვილმა ისევ დაურეკა და შეატყობინა, რომ ირაკლი კოდუა დაუკავშირდებოდა და დავალებას მისცემდა.

„დამირეკა კოდუამ, მითხრა, რომ მანქანებს „იმედთან“ ხალხი მიაწყდა და დახმარება სჭირდებოდა. მე 100-კაციანი ჯგუფი გავუშვი. იქ მაშინდელი სოდ-ის თანამშრომლები იყვნენ, ასევე იყვნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიდანაც“, — განაცხადა ჯანაშვილმა.

7 ნოემბრის აქციის დარბევის, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და მთაწმინდის პარკის ჩამორთმევის საქმეზე უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება წარდგენილი აქვთ მიხეილ სააკაშვილს, დავით კეზერაშვილს, ზურაბ ადეიშვილს, გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილს.

სააკაშვილის მიმართ უკრაინაში არავითარი პოლიტიკური გეგმები არ არსებობს

— ამის შესახებ ბრიუსელში ვიზიტად მყოფმა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა.

„პოლიტიკური გეგმები არ არსებობს. გეგმები იყო ძალიან მარტივი, ადამიანური: მე ვუთხარი მედიას, ის, რასაც ვფიქრობდი, რომ მას პასპორტი უკანონოდ ჩამოართვეს. ამიტომაც დავუბრუნე. სულ ეს არის“, — განაცხადა ზელენსკიმ.

„ნასტოიაშეე ვრემიას“ ჟურნალისტის გრიგორი ჟიგალოვის შეკითხვაზე, ხომ არ შეხვედრია სააკაშვილს, ან მათ შორის სატელეფონო საუბარი ხომ არ გამართულა, უკრაინის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ სააკაშვილმა მას სოციალური ქსელის მეშვეობით მადლობა გადაუხადა.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ივანე მერაბიშვილის საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს კვლავ დადებითად აფასებს

ევროპის **საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ივანე მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს კვლავ დადებითად აფასებს.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წლის 5 ივნისს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ივანე მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი განიხილა.

მათივე ინფორმაციით, კომიტეტმა კვლავ მოიწონა ღონისძიებები, რომელთაც საქართველოს მთავრობა ატარებს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

„მიუხედავად ადვოკატების მოთხოვნისა, მერაბიშვილის გათავისუფლების საკითხი მინისტრთა კომიტეტმა საერთოდ არ განიხილა. მინისტრთა კომიტეტმა მოიწონა, რომ: 2013 წელს მომჩივნის საკნიდან გაყვანის ეპიზოდზე განახლებული გამოძიების ფარგლებში ივანე მერაბიშვილს მიეცა წვდომა სისხლის სამართლის საქმის მასალებზე და მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ; იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის ბრძანების შესაბამისად, 2019 წლიდან პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერების შენახვა ამჟამად არსებულ 5-დღიან ვადაზე უფრო ხანგრძლივი პერიოდით — 30 დღით გახდება შესაძლებელი; ამ ბრძანების 15 პენიტენციურ დაწესებულებაში იმპლემენტაციის პროცესი დაიწყება 2019 წლის 1 ივლისს და დასრულდება 2021 წლის 1 იანვრამდე; პარლამენტმა დაამტკიცა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ იუსტიციის სამინისტროს მიერ შეთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს ფარული და კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობას სამოხელეო დანაშაულებზე“, — აღნიშნულია იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციაში.

მათივე ინფორმაციით, მინისტრთა კომიტეტმა მერაბიშვილის საქმის აღსრულების საკითხი პირველად 2018 წლის 4 დეკემბერს შეაფასა, მოიწონა საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი და აუცილებელი არ არის მთავრობისთვის ივანე მერაბიშვილის ციხიდან გათავისუფლების მოთხოვნა.

„მერაბიშვილის საქმის შემდგომი განხილვა 2019 წლის სექტემბრის სხდომაზე აღარ გაიმართება და მას მინისტრთა კომიტეტი მოგვიანებით დაუბრუნდება.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ივანე მერაბიშვილის საქმე 2017 წლის ნოემბერში განიხილა და დარღვევა მხოლოდ ერთ ნაწილში — ციხიდან შეესაძლო გაყვანის ეპიზოდში დაადგინა. მერაბიშვილის პატიმრობა დიდმა პალატამ კანონიერად მიიჩნია. მინისტრთა კომიტეტი სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობის მიზნით წელიწადში ოთხჯერ — მარტში, ივნისში, სექტემბერსა და დეკემბერში — იკრიბება.

კომიტეტის წევრები, ევროპის საბჭოს 47 ქვეყნის წარმომადგენლები კენჭს უყრიან დოკუმენტს სტრასბურგის გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის მიმდინარეობის შესახებ“, — აღნიშნულია იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციაში.

„ქართულმა ოცნებამ“ ერთ ნაწილს კოჰაბიტაცია მოარგო, მეორეს - რეპრესიები!



კოჰაბიტაცია **თანაცხოვრებას და თანაარსებობას ნიშნავს, რაც კარგად გამოხატავს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობის ხასიათს. კოჰაბიტაცია ფრანგული სიტყვაა, რომელიც სათავეს საფრანგეთის მე-ნ რესპუბლიკის კონსტიტუციიდან იღებს, როდესაც საფრანგეთი ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა.**

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შედეგად, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი რეალობა დაიწყო, როდესაც პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა ერთმანეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენენ.

მაშინდელი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** იძულებული იყო, რომ პარლამენტის უმრავლესობისთვის სასურველი პრემიერ-მინისტრის კანდიდატი **ბიძინა ივანიშვილი** წარედგინა. შედეგად მივიღეთ რეალობა, როდესაც პრეზიდენტი და მთავრობა, პრემიერ-მინისტრი ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენდნენ.

ერთი მხრივ, დემოკრატიული განვითარებისთვის, პროცესების გაჯანსაღებისთვის შეიძლებოდა, ეს სწორი ნაბიჯი ყოფილიყო, მაგრამ ქართულ რეალობაში „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გამოცხადებული კოჰაბიტაცია ისევ „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ იქნა გამოყენებული.

კოჰაბიტაცია „ნაციონალურ მოძრაობას“ მოარგეს, რომლის შედეგად ხელისუფლება გარიგებაში შევიდა დანაშაულებრივ სისტემასთან. დღეს ხელისუფლების უდიდეს ნაწილს კოჰაბიტირებული ნაციონალები წარმოადგენენ როგორც პარლამენტში, ასევე მთავრობაში და თვითმმართველობებში. რეჟიმთან კოჰაბიტაცია თვალსაჩინოა რეგიონებში.

ხელისუფლების ცვლილებიდან 7 წლის თავზე მმართველი გუნდი მიხვდა, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი შეცდომა წინა ხელისუფლებასთან გამოცხადებული კოჰაბიტაცია არის. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივანი **ირაკლი ღარიბაშვილი** „ოცნების“ ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდ შეცდომად ე.წ. კოჰაბიტაციას ასახელებს და ამბობს, რომ ამ შეცდომას გამოსწორება სჭირდება.

„ყველა მოგვიწოდებდა, ჩვენი პარტნიორები, ჩვენი გუნდის შიგნით ვითომ პარტნიორები, რომ ეს ერთადერთი სწორი გზა იყო. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა ე.წ. კოჰაბიტაცია იყო. კოჰაბიტაცია იმ ფორმით, როგორც ჩვენ განვახორციელეთ, იყო ერთ-ერთი დიდი შეცდომა. შეცდომას გამოსწორება სჭირდება და სწორედ ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან აქტიურად, განახლებული ენერგიით გამოვასწორებთ ამ და სხვა შეცდომებს“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კოჰაბიტაციის ეს ფორმა, როგორც მმართველმა გუნდმა განახორციელა, მიუღებელი გახდა იმ ადამიანებისთვის, რომელიც ყოფილი ხელისუფლების ძალადობის მსხვერპლი გახდა, რადგან ეს იყო სისტემური ხასიათის დანაშაულებები, რომელიც ხორციელდება წინა მთავრობის დროს და ამ დანაშაულებში, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩართული იყვნენ საჯარო მოხელეები, რომლებიც დღეს მმართველ გუნდთან პოლიტიკურ ალიანსში არიან.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, გაუგებარია, რატომ დასჭირდა დღეს ხელისუფლებას იმის აღიარება, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოჰაბიტაცია იყო შეცდომა, მაშინ, როდესაც ხელისუფლებასთან კოჰაბიტაციაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობის“ უმრავლესობა „ქართულ ოცნებაშია“.

„ვინც „ოცნებაში“ არ არის, საკმაოდ დაწინაურებულია. დღეს ამ შეცდომაზე საუბარი ალბათ იმისთვის არის საჭირო, რომ „ოცნების“ ერთგული ადამიანები წამოსწიონ წინ და გაუთანაბრონ ნაციონალებს. თორემ, „ნაციონალების“ დაჩაგვრის საფრთხე უკვე აღარ დგას. „ქართული ოცნების“ ერთგული ნაწილის დაჩაგვრის ფაქტთან მიიყვანა ეს პროცესი თვითონ „ოცნებამ“. ამიტომაც იყო, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ საბოდიშოდ გაუხდა ივანიშვილს საქმე. ვგულისხმობ ძველ გვარდიას, აი იმ ხალხს, რომლებიც „ოცნების“ რიგებში იდგნენ და ერთგულად იბრძოდნენ. სწორედ იმ ხალხს სთხოვა მხარდაჭერა ივანიშვილმა.

„ოცნების“ ამ ნაწილის რეაბილიტაცია დგას დღეს დღის წესრიგში. იმიტომ, რომ მხარდაჭერის და ბრძოლის პოტენციალი სწორედ ამ ხალხშია. შეიძლება, ამიტომაც გაიხსენა კოჰაბიტაციის თემა ღარიბაშვილმა, მაგრამ დაგვიანებულია“, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

როგორც პოლიტოლოგი ამბობს, კოჰაბიტაციას ითხოვდა დასავლეთი, ეს თხოვნა ემთხვეოდა იმ პერიოდს, როდესაც პრეზიდენტის ინსტიტუტი იყო „ნაციონალური მოძრაობის“, პარლამენტი — „ქართული ოცნების“. ასეთ ვითარებაში და ასეთი განსხვავების დროს საყვარელიძის განცხადებით, დასავლეთში ამბობენ, რომ კოჰაბიტაცია არის საჯარველიო. თავის დროზე, როდესაც „ოცნების“ გვერდით იდგა, უსუფაშვილმა თქვა, რომ „ნაციონალებს“ ვექცევით ისე, როგორც ვექცევითო. ამ გადაჭარბებამ პროცესები იქამდე მიიყვანა, რომ დაჩაგრული აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ ძველი გვარდია. ფეხმოკიდებულმა და გაძლიერებულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ახლა „ქართულ ოცნებას“ დაუწყო ბრძოლა და ქიშპი, რისი სურათი ყველა არჩევნებზე გვაქვს“...

ანალიტიკოს **ვახტანგ ძაბირაძის** შეფასებით, კოჰაბიტაციის შედეგია ის, რომ დღეს „ქართული ოცნება“ მიუხედავად ყველაფრისა, ყველაზე რეიტინგული პარტიაა 17%-ით, მაგრამ მაინც. მისი თქმით, რომ არა კოჰაბიტაცია, „ქართულ ოცნებას“ ის რეიტინგიც არ ექნებოდა, რაც აქვს.

„საპროტესტო ოპოზიციური ტალღაც გაცილებით ძლიერი იქნებოდა, ვიდრე დღეს არის და უფრო პერსპექტული გარკვეული თვალსაზრისით. რაც შეეხება დღეს იმის აღიარებას, რომ კოჰაბიტაცია იყო შეცდომა, მერე რა, რა უნდა გააკეთონ? დავუშვათ, რომ შეცდომა იყო დაშვებული 7 წლის წინ. დღეს რა შეუძლიათ, რა უნდა გააკეთონ? ვინც დასაჭერი იყო, დაიჭირეს, თუ საშუალო ფენის დაპატიმრებას აპირებენ და მასზე საქმის აღძვრას? ეს არაფრის მომტანი არ არის. ეს არის „ოცნების“ პიარის ახალი თემა და მეტი არაფერი. დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ არის „ქართული ოცნების“ რეიტინგის შემანარჩუნებელი, ეს ფაქტია, რაც შუალედურ არჩევნებზეც გამოჩნდა. სადაც არ იყო „ნაციონალური მოძრაობა“, არის მეორე ტური“, — ამბობს ვახტანგ ძაბირაძე.

როგორც ძაბირაძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, კოჰაბიტაცია, არსის სწორად გამოყენების შემთხვევაში, არავის არ აზარალებდა. ქართულ სინამდვილეში გამოყენებული იყო შერეული მოდელი — არც კოჰაბიტაცია იყო და არც რეპრესია.

„შერჩევითი სამართალი იყო. მაგალითად, მერაბიშვილი და ახალაია დააპატიმრეს იმიტომ, რომ ეთქვათ, აი, ჩვენ დავიწყეთ სამართლიანობის აღდგენა. ვისი გადაბირებაც შეძლეს, გადაიბირეს, ვისი გაშვებაც მოუნდათ, გაუშვეს. კოჰაბიტაცია სხვა რამეს გულისხმობს და სხვანაირად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

თუ დამნაშავეების დასჯაზე მიდიოდა საუბარი, მაშინ უნდა დაესაჯათ. „ქართულმა ოცნებამ“ ერთ ნაწილს კოჰაბიტაცია მოარგო, მეორე ნაწილის მიმართ რეპრესია განახორციელა, საბოლოო ჯამში მიიღეს მშვენიერი შედეგი. „ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობის ხარჯზეა, სხვა ოპოზიციას პერსპექტივა, ფაქტობრივად, არ აქვს. დღეს ასე არის, ვნახოთ რა იქნება ხვალ“, — განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

თამთა ქარჩავა

ამას ევროპული ცნობიერება სჭირდება

„თუ სახელმწიფოს ენდობი, მაშინ საპენსიო ფონდსაც უნდა ენდო, ხოლო, თუ სახელმწიფოს არ ენდობი, არც სიბერე გაქვს გარანტირებული და არც ახალგაზრდობა“

უნდა ენდოს თუ არა ჩვენი მოსახლეობა საპენსიო ფონდს და ამით საკუთარი თავისთვის ღირსეული სიბერე უზრუნველყოს?!

წინასწარი პროგნოზით, 2030 წლისთვის პენსიონერთა ციფრი მილიონს გადააჭარბებს და, თუ ახლა პენსიონერთა რაოდენობა 700 ათასამდეა, აშკარაა, მილიონი პენსიონერისთვის შესაბამისი ანაზღაურების გაცემა მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფოს.

მოსახლეობის ეს დაუცველი ფენა მუდმივად საჭიროებს პენსიის ზრდას, რადგან დღეს არსებული საპენსიო ფორმა არ ასახავს პენსიონერთა განვლილ ცხოვრებას და ის არა საპენსიო, არამედ უფრო სოციალური შემწეობის სისტემაა. თუმცა რა მოხდება ხვალ, როცა პენსიონერთა რაოდენობა კოლოსალური იქნება? ჩვენმა სახელმწიფომ ასეთი ვითარებიდან გამოსავალი ნახა — დაგროვებითი პენსიის სახით, მაგრამ აქ ყველაფერი ნდობაზეა დამოკიდებული.

დაგროვებითი პენსიის სისტემაში ჩართვა 40 წლამდე დასაქმებული მოქალაქეებისთვის სავალდებულოა, ხოლო 40 წლის ზევითნებაყოფლობითი.

ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი ენდობა საპენსიო ფონდს და აცხადებს, რომ დაგროვებითი პენსიის სისტემას ალტერნატივა არ აქვს. რაც ადრე მოხდება, მით უკეთესი, რადგან უფრო მეტ თაობას შეექმნება პერსპექტივა, რომ მათი სიბერე უზრუნველყოფილი იქნება. ანალიტიკოსი წარსულის გამოცდილებასაც იხსენებს, როცა ჩვენი სახელმწიფო იმდენად არასტაბილური იყო, რომ დაგროვებითი პენსიის სისტემაზე გადასვლა ვერ მოხერხდა.

„შევარდნაძის დროსაც იყო ამის მცდელობა, იმ პერიოდში სოციალური გადასახადი შემოიღეს, რომ ამით პენსიები დაფინანსებულიყო. ეს იყო წინარე ნაბიჯი და ამას უნდა მოჰყოლოდა დაგროვებითი საპენსიო სისტემა, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, რადგან ძალიან სუსტი სახელმწიფო გვქონდა, კორუფცია ჭამდა და ხრავდა ყველაფერს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება მაშინდელი და ახლანდელი საქართველო. სხვათა შორის, სააკაშვილსაც შეეძლო ეს გაეკეთებინა, რადგან სტაბილიზაციას მან ასე თუ ისე მიაღწია, მაგრამ სააკაშვილმა არ ისურვა ამის გაკეთება ვითომცდა ფსევდოლიბერალური ეკონომიკის გამო. ამით დრო გაიფლანგა და დაიკარგა. ახლა რაც გვაქვს, ამას პენსიაც არ ჰქვია, ეს არის სოციალური დახმარება მოხუცებულობის გამო. ამით ვერ იცხოვრებ, ძალიან ბევრი ადამიანი პენსიის გარდა არანაირ სხვა შემოსავალს არ ფლობს და მძიმე დღეშია“, — აცხადებს **დავით ზარდიაშვილი** და პირად გამოცდილებაზეც საუბრობს.

ანალიტიკოსის თქმით, მისი რამდენიმე თვის ანაზღაურება დაიქვითა და წავიდა ახლანდელ საპენსიო ფონდში, რადგან მას განცხადება არ დაუწერია ამ ფონდიდან გასვლის შესახებ. ანალიტიკოსი ამბობს, რომ საპენსიო ფონდს ახალგაზრდებისთვის გაცილებით მეტი ეფექტი ექნება და ეს ფონდი საიმედოა, რადგან მის უკან დგას სახელმწიფო. ამდენად, თუ სახელმწიფოს ენდობი, მაშინ საპენსიო ფონდსაც უნდა ენდო, ხოლო, თუ სახელმწიფოს არ ენდობი, არც სიბერე გაქვს გარანტირებული და არც ახალგაზრდობა.

ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი **ჯემალ ჭკუასელი** ამბობს, რომ პირადად იგი მთავრობას ენდობა და მთავრობა საკუთარ ხალხს არავის მოატყუებინებს.

„მთავრობას თუ არ ვენდობით, აბა, ვის უნდა ვენდოთ? მაგას როგორ გაუკეთებენ ჩვენს ხალხს, რომ რომელიღაც ფონდს ადამიანები მოატყუებინონ?! როცა ასეთი საქმის ხელმძღვანელად ნიშნავ ადამიანს, ის უნდა იყოს ძალიან გულისხმიერი და ხალხის ნდობას იმსახურებდეს“, — აღნიშნა ჯემალ ჭკუასელმა.

„აფბა“-ს პრეზიდენტი **შოთა გულბანი** მიიჩნევს, რომ შესაძლოა, ცალკეული ადამიანები არ ენდობიან საპენსიო ფონდს და 40 წლის ზემოთ ამ ფონდის მომსახურებას

იხ. გვ-9 გვ.

საზოგადოების „ნდობის ეროზია“ მწვავდება...

საქართველოს საუკეთესო შედეგები აქვს, თუმცა ოლიგარქების გავლენა და კანონის უზენაესობა კვლავ გამოწვევაა

„საქართველოს კავკასიის ქვეყნებს შორის საუკეთესო შედეგები აქვს. რეალურად, ჩვენი რეიტინგებით, ის ევრაზიის რეგიონში საუკეთესოა, მაგრამ კვლავ აქვს ბევრი გამოწვევა და გლობალური მასშტაბით, საშუალო შედეგებს აჩვენებს. ვფიქრობ, საქართველოში ორ უმთავრეს გამოწვევას ვხედავთ: ერთი, ეს არის ოლიგარქების გავლენა და ფაქტი, რომ ამ არარჩეულ პირებს აქვთ კონტროლი პოლიტიკურ პროცესზე. მეორე კი, კანონის უზენაესობაა და საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოს მხრიდან ბევრი ჩარევა სასამართლო სისტემაში, რაც მას არ აძლევს საშუალებას, იფუნქციონიროს, როგორც დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა“, — ამბობს „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში სარა რეპუჩი, საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუზის“ ერთ-ერთი დირექტორი კვლევისა და ანალიზის მიმართულებით.

„ფრიდომ ჰაუზმა“ ახალი ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც მსოფლიოში მედიის თავისუფლების მიმართ არსებული საფრთხეებია მიმოხილული, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ.

შეკითხვაზე: არის თუ არა თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია ქვეყანაში, საქართველოს 5 შესაძლო ქულიდან 2 ქულა აქვს. ეს საშუალო მაჩვენებელია ჭდეზე, სადაც 0 ყველაზე უარესია, 4 კი საუკეთესო მდგომარეობას ასახავს.

ამ ანგარიშში საქართველოს მედია მდგომარეობა ცალკე არ არის განხილული, თუმცა წლევანდელი შეფასებით, დემოკრატიის კუთხით ქვეყნების შეფასების ინდექსში საქართველოს პოზიცია ერთი ნიშნულით შემცირდა და ანგარიში ოლიგარქი აქტორების დიდ გავლენაზე ამახვილებდა ყურადღებას. მცირედი უკუსვლის მიზეზებს შორის, კი ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები და ბიძინა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობა და გავლენა სახელდებოდა.

„დემოკრატიულ და ავტორიტარულ ქვეყნებში ლიდერები, რომლებიც ერთნაირად ცდილობენ ძალაუფლების კონსოლიდირებას, ახალ გზებს პოულობენ იმისთვის, რომ დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა შეზღუდონ“ — ვკითხულობთ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის ანგარიშში — „თავისუფლება და მედია, 2019“ .

ანგარიშის თანახმად, ანტიდემოკრატიული ლიდერები მყიფე დემოკრატიის მქონე ქვეყნებში „მედიის მოთვინიერებას“ სხვადასხვა ეკონომიკური, საკანონმდებლო თუ პირიქით, კანონგარეშე ინსტრუმენტებით და ქმედებებით ცდილობენ, სურთ, დაადუმონ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტები და გააძლიერონ თავის მიმართ ლოიალურად განწყობილი მედიასაშუალებები. გარდა ამისა, მდგრადი ბიზნეს-მოდელების სიმცირე, ნდობის ნაკლებობა, დეზინფორმაციის ნაკადები და სხვა ფაქტორები დამოუკიდებელ მედია-სექტორს კიდევ უფრო ასუსტებს.

სარა რეპუჩი ამბობს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში პრესის თავისუფლების მხრივ კლება გრძელდება და ეს პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების კლებასთან ურთიერთდაკავშირებული საკითხია. რეპუჩი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ევრაზიის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთ-ჩრდილო აფრიკაში არსებულ კლებაზე.

ამერიკის კონსტიტუცია უზრუნველყოფს მრავალფეროვანი დაცვის გარანტიებს მსგავსი ქმედებების მიმართ, მაგრამ პრეზიდენტ ტრამპის საზოგადო პოზიციას პრესის თავისუფლების თაობაზე ხელშესახები გავლენა ჰქონდა გლობალურ მედია ლანდშაფტზე. ჟურნალისტებს მსოფლიოს გარშემო ახლა უფრო ნაკლები მიზეზი აქვთ დაიჯერონ, რომ თუკი მათი საბაზისო უფლებები შეილახება, ვაშინგტონი მათ მხარს დაუჭერს და დაეხმარება.

„ჩვენ ამ ერთი სპექტრის ორ სხვადასხვა დაბოლოებაზე ვსაუბრობთ. (საუკეთესო და ყველაზე უარესი შედეგების მქონე ქვეყნებზე.) ეს განსაკუთრებით შემაშფოთებელია, არა მხოლოდ იმის გამო, რომ პრესის თავისუფლება ფუნდამენტური უფლებაა, არამედ იმის გამოც, თუ რა გავლენა აქვს პრესის თავისუფლებას დემოკრატიაზე. თუმცა ჩვენ გვაქვს იმედის საფუძველი და გამოცოცხლების, გაუმჯობესების ნიშნები ზოგიერთ ქვეყანაში. ასე რომ, ნამდვილად შეგიძლიათ, დაინახოთ, რომ პრესის თავისუფლების სამუდამოდ შეზღუდვა შეუძლებელია. ყოველთვის იარსებებს ხალხი, რომელიც იბრძოლებს მის უკან დასაბრუნებლად“, — ამბობს **რეპუჩი**.

მისივე შეფასებით, პრესის თავისუფლების მხრივ შედარებით უკეთეს და უარეს მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში შეზღუდვის ტაქტიკები განსხვავებულია. მაშინ, როდესაც ახლო აღმოსავლეთსა თუ ჩრდილოეთ აფრიკაში შედარებით „ტრადიციული მეთოდებით“ ავიწროებენ ჟურნალისტებს: აპატიმრებენ, ემუქრებიან, იღებენ შემზღუდავ კანონმდებლობას, ცილისწამების ამკრძალავ კანონებს ავრცელებენ სიტყვის თავისუფლებაზე და ა.შ., მეორე მხრივ, უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოებში, არაერთი ახალი ტაქტიკა და სცენარია: მაგალითად, დემოკრატიულად არჩეული ლიდერები, რომლებიც შემდეგ იწყებენ მედიით მანიპულირებას ნიუანსირებული და არა პირდაპირ მკაფიოდ და ცალსახად ტრადიციული, აგრესიული ფორმით. ისინი თანდათან ხელში იგდებენ კომუნიკაციის იმ არხებს, რომელთა მეშვეობითაც ინფორმაცია მოსახლეობამდე მიდის. ამ მხრივ ჩვეულ მეთოდებს შორისაა მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ცვლილებები მფლობელობაში, ფინანსური რეგულაციების ცვლილება, ჟურნალისტებისადმი საზოგადოების ნდობის შერყევა და ასე შემდეგ. ასევე პროაქტიული მხარდაჭერა „მეგობრული მედიების“ მიმართ. მეტი წვდომა სახელმწიფო ინფორმაციაზე, უკეთესი კონტრაქტები და სხვა ისეთი ქმედებები, რომელთა მიზანიც ისაა, რომ მედია ძალაუფლების მქონე ხალხს ემსახუროს და არა — საზოგადოებას.

ანგარიშის თანახმად, ამის კარგი მაგალითია ბოლო წლებში უნგრეთში მიმდინარე მოვლენები. კვლევაში დიდი ნაწილი ეთმობა სერბეთის მედია-მდგომარეობის გაუარესებასაც. ამ ორმა ქვეყანამ ოდესღაც „თავსუფალი“ ქვეყნების კატეგორიიდან, „ნახევრად თავისუფალი“ ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა და იმ ქვეყნებს შორის არიან, დაწინაურდა, რომლებიც ამ ახალ ტაქტიკებს იყენებენ მედიის შესაზღუდად. თუმცა ანგარიშის ავტორების თანახმად, მსგავსი მოვლენები სხვადასხვა მასშტაბით შეინიშნება სხვა დემოკრატიულ ქვეყნებშიც, იქნება ეს ინდოეთი, ისრაელი, თუ შეერთებული შტატები.

ანგარიშის თანახმად, მდგომარეობას ართულებს პოპულიზმის გაძლიერებაც — პოპულისტი ლიდერები, რომლებიც საკუთარ თავს „დაზარალებული უმრავლესობის“ უფლებების დამცველებად წარმოაჩენენ ლიბერალური ელიტისა და ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ.

იმ ქვეყნებს შორის, რომელსაც „ფრიდომ ჰაუზი“ თავისუფალ ქვეყნებს მიაკუთვნებს, 19 %-ში (16 ქვეყანაში) ბოლო 5 წელიწადში მედიათავისუფლება შემცირდა.

ანგარიშში ცალკეა ხაზგასმული უნგრეთის მაგალითი, სადაც ვიქტორ ორბანის ხელისუფლებამ მედიის მფლობელობის კონსოლიდირება მოახდინა მასთან დაახლოებული პირებისა თუ ჯგუფების ხელში, და იმ მედიების უდიდესი ნაწილი რომელთაც ყველაზე ფართო აუდიტორია ჰყავს, მის ხელშია. უნგრეთში ამჟამად მედიის დაახლოებით 80 % მთავრობასთან დაკავშირებულ პირთა ხელშია. ხაზგასმულია სერბეთის უარყოფითი ტენდენციებიც, სადაც მსგავსი მოვლენები ვითარდება, ასევე მედიის საწინააღმდეგო რიტორიკა ავსტრიაში.

ისრაელშიც, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მდებარე მცირე რაოდენობის დემოკრატიებს შორის ერთ-ერთია, პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ გამომძიებელ ჟურნალისტებს გამუდმებით აკრიტიკებს. ახლა მას ბრალს სდებენ ისეთი რეგულაციების შემუშავებაში, კონკრეტულ მედიასაშუალებებს მთავრობის საქმიანობის დადებითი გაშუქებისთვის საკეთილდღეო პირობებს რომ უქმნიდა.

რაც შეეხება ყველაზე დიდი მოსახლეობის მქონე დემოკრატიული სახელმწიფოს მსოფლიოში, ინდოეთს, ანგარიშის თანახმად, აქაც საგულისხმო ნიშნებია იმისა, რომ მთავრობის ანგარიშვალდებულება მედიის ინტერესებში არ არის: მმართველი პარტიის მიერ წარმოებული კამპანიები გამოხატვის თავისუფლებას „ანტიეროვნულ“ ჭრილში განიხილავს, მასთან დაკავშირებული ჯგუფები კრიტიკული ჟურნალისტების სახლებსა და ოფისსებს არბევენ და ასე შემდეგ.

„ალბათ, მოვლენების ყველაზე შემაშფოთებელი განვითარება ბოლო წლებში, ეს არის პრესის თავისუფლების მიმართ უჩვეულო წნეხი შეერთებულ შტატებში, მსოფლიოს წამყვან დემოკრატიაში“, — ამბობს სარა რეპუჩი და განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრესის თავისუფლების მიმართ ინსტიტუციური გარანტიები არსებობს, წამყვანი საინფორმაციო ორგანიზაციები კი რჩებიან ძლიერნი და აგრძელებენ ხელისუფლების შესახებ კრიტიკული მასალების მომზადებას, პრეზიდენტის განცხადებები მაინც შემაშფოთებლად მიიჩნევა.

„პრეზიდენტ დონალდ ტრამპის განგრძობითმა კრიტიკამ პრესის მიმართ, სერიოზულად გაამწვავა საზოგადოების „ნდობის ეროზია“ მეინსტრიმ მედიის მიმართ. სხვა ნაბიჯებთან ერთად, პრეზიდენტის განმეორებითად იმუქრებოდა ცილისწამების კანონების გამკაცრებით, ზოგიერთი მაუწყებლისთვის ლიცენზიის ჩამორთევითა და მედიამფლობელების სხვა ბიზნესინტერესების შეზღუდვით. ამერიკის კონსტიტუცია უზრუნველყოფს მრავალფეროვანი დაცვის გარანტიებს მსგავსი ქმედებების მიმართ, მაგრამ პრეზიდენტ ტრამპის საზოგადო პოზიციას პრესის თავისუფლების თაობაზე ხელშესახები გავლენა ჰქონდა გლობალურ მედიალანდშაფტზე. ჟურნალისტებს მსოფლიოს გარშემო ახლა უფრო ნაკლები მიზეზი აქვთ, დაიჯერონ, რომ თუკი მათი საბაზისო უფლებები შეილახება, ვაშინგტონი მათ მხარს დაუჭერს და დაეხმარება“, — ვკითხულობთ ანგარიშში.

რადიო „ამერიკის ხმა“

„გირჩის“ სკოლაში მოსწავლეთა რეგისტრაცია დაიწყო

ინფორმაციას ამის შესახებ „გირჩის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ზურაბ ჯაფარიძე ავრცელებს.

ჯაფარიძის თქმით, მინიმალური პაკეტის ღირებულება 4000 ლარი იქნება და ის ბევრად იაფია არსებულ საუკეთესო ალტერნატივებთან შედარებით.

„მინიმალური პაკეტი, რომელიც შეიძლება მშობელმა შეიძინოს, არის დღეში 4 საათი. ასეთი პაკეტის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 4,000 ლარს წელიწადში. ეს ფასი არის ბევრად დაბალი ქვეყანაში არსებულ საუკეთესო კერძო სკოლებთან შედარებით.

სტანდარტულ სკოლაში წლის განმავლობაში სასწავლო დღეების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 180 დღეს. გირჩის სკოლაში - დაახლოებით 265 დღეს. ანუ, ჩვენთან გადახდილი სწავლის საფასურით ყიდულობთ დაახლოებით 1.5-ჯერ მეტ მომსახურებას, ვიდრე სხვა, ნებისმიერ სკოლაში გადახდილი საფასურით. სხვა სკოლებში არსებობს წლის განმავლობაში მკაცრად განსაზღვრული პერიოდები არდადეგებისთვის. „გირჩის“ სკოლაში მშობელს შესაძლებლობა ექნება, წლის ნებისმიერ პერიოდში წაიყვანოს შვილი დასასვენებლად და ის გააგრძელებს სწავლას ყველა მიმართულებით იქიდან, სადაც გაჩერდა, როდესაც დაბრუნდება სკოლაში.

მხოლოდ „გირჩის“ სკოლაში აქვს მშობელს შესაძლებლობა, გადაიხადოს შვილის სწავლის პირველი წლის საფასური, გახდეს სკოლის თანამფლობელი, და მოიპოვოს შანსი მომავალ წლებში მიღებული დივიდენდებიდან დაფაროს სწავლის წლიური გადასახადი“, — წერს ჯაფარიძე.

კახა კალაძე: ჩემთვის თბილისის მოსახლეობა ძალიან მნიშვნელოვანია!

თბილისის მერია ევროპის ქუჩის რეაბილიტაციას იწყებს

თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური კახეთის გზატკეცილის კაპიტალური რეაბილიტაციის ფარგლებში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე მისასვლელი გზის, ევროპის ქუჩის რეაბილიტაციას იწყებს.

როგორც დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდება.

„სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს. ასევე, გვინდა, კიდევ ერთი საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტი დავიწყოთ – აეროპორტის გადასახვევის, ევროპის ქუჩა განვაახლოთ, სადაც ასევე, მძიმე მდგომარეობაა. სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე, საავტომობილო მოძრაობა ერთ მხარეს ჩაიკეტება. პროექტის განხორციელებას, დაახლოებით, ერთი თვე დასჭირდება. აქაც ყველაფერი მოწესრიგდება – გამწვანება, გარე განათების სისტემა, დამონტაჟდება LED სანათები. როდესაც ადამიანი საქართველოში პირველად ჩამოდის, ცენტრალური გზა ყველანაირად მოწესრიგებული უნდა იყოს, რომ მას ჩვენს ქვეყანასა და ქალაქზე პირველი შთაბეჭდილება შეექმნას“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, დაახლოებით, 3 მილიონი ლარი დაიხარჯება. სამუშაოებს დედაქალაქის მერიის კონტრაქტორი შპს „ჯეუ გრუპი“ განახორციელებს. რაც შეეხება საავტომობილო მოძრაობას, სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, თავდაპირველად, ერთი თვის განმავლობაში, აეროპორტიდან თბილისის მიმართულებით სავალი ნაწილი გადაიკეტება და საპირისპირო მიმართულება დროებით ორმხრივი გახდება.

დროზე მივხედოთ „მრგვალ ბაღს“!

თბილისის მერმა კახა კალაძემ შესაბამის სტრუქტურებს მრგვალ ბაღში წარმოებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროულად დასრულება დაავალა.

კახა კალაძის განცხადებით, კომპანიამ სამუშაოები ვერ დაასრულა. შესაბამისად, ის მრგვალი ბაღის რეაბილიტაციას ვეღარ გააგრძელებს.

„კომპანიას არ აინტერესებს არც ქალაქის მთავრობა, არც მერია, მაგრამ ჩემთვის თბილისის მოსახლეობა ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, იმოქმედეთ ძალიან მარტივად. ეს კომპანია ვერ და არ გააგრძელებს სამუშაოებს. იქ არაფერი ხდება, გადათხრილია ყველაფერი და მიყრილ-მოყრილი. სამუშაოები უკვე ორი თვეა მიმდინარეობს. პატარა ბაღის რეაბილიტაცია ვერ მოვახერხეთ და ვსაუბრობთ მთელი ქუჩებისა და უბნების რეაბილიტაციაზე. ასეთი დამოკიდებულება ცუდია. სამწუხაროა, რომ გვყავს არაკეთილსინდისიერი კომპანიები, თუმცა მათ შესაბამისი პასუხი სჭირდებათ. ასეთმა კომპანიებმა არა თუ მერიის ტენდერებში, საერთოდ, სახელმწიფო ტენდერებში ვერ უნდა მიიღონ მონაწილეობა, რადგან ისინი აზარალებენ ქვეყანას, ქალაქს, მოსახლეობას და ასე შემდეგ. ასეთ დროს არავინ საუბრობს, რომ კომპანიაა პრობლემა, არამედ მერიას და ქალაქის მერს ბრალდებათ ყველაფერი. ამიტომ, ეს დამოკიდებულება კატეგორიულად მიუღებელია. იმოქმედეთ დღესვე, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში დასრულდეს ეს პროექტი. სამუშაოების ფარგლებში, მოაწესრიგეთ საგზაო ინფრასტრუქტურაც, რადგან იქ მძიმე მდგომარეობაა. განაახლეთ ისე, რომ ყველამ, იქ მიმსვლელმა ადამიანმა ამ პროექტით იამაყოს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

განახლდება „კადეტთა კორპუსი“

თბილისის მერია თაბუკაშვილის №46-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ე.წ. კადეტთა კორპუსის რეაბილიტაციას იწყებს და შენობის პროექტირებაზე კონკურსს აცხადებს.

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, მეოთხე კატეგორიის ავარიულობის მქონე შენობაში მოსახლეობას სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში უწევს ცხოვრება, შესაბამისად, მისი რეაბილიტაცია და გადარჩენა ძალიან მნიშვნელოვანია.



„მთაწმინდის რაიონში, თაბუკაშვილის ქუჩის №46-ში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია იწყება. პროექტის შემუშავებას რამდენიმე თვე დასჭირდება. საუბარია ე.წ. კადეტთა კორპუსზე, რომელიც დაახლოებით, 150 წლისაა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, თუმცა იქ არსებული მდგომარეობა უმძიმესია. მეოთხე კატეგორიის ავარიულობა აქვს მინიჭებული, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი გადარჩენა და რეაბილიტაცია. ჩემი თხოვნა იქნება, გქონდეთ კომუნიკაცია მოსახლეობასთან, მიაწოდოთ სრული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, როდის დაიწყება სამუშაოები და როდის დასრულდება პროექტი“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ასევე, იწყება ინგოროყვასა და სულხან-საბას ქუჩების სრული რეაბილიტაცია. პროექტი უახლოეს მომავალში მომზადდება.

თბილისის მერი ორბელიანის რეაბილიტირებული მოედნის გახსნასაც შეეხო და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც აღნიშნული პროექტის განხორციელებაში იყო ჩართული. გარდა ამისა, მისივე თქმით, უახლოეს მომავალში იწყება ფიროსმანის ქუჩის რეაბილიტაცია, ასევე, დაგეგმილია გუდიაშვილის, ფურცელაძის ქუჩისა და თაბუკაშვილის ქუჩის ნაწილის რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტები.

ჯარიმები ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისთვის

ავტობუსის ზოლზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ან გაჩერების შემთხვევაში, მძღოლი 100 ლარის ოდენობით დაჯარიმდება, ხოლო ველობილიკზე იგივე ქმედება 50 ლარის ოდენობის ჯარიმას გამოიწვევს, – განაცხადა კახა კალაძემ.

„ჩვენი ინიციატივით, კანონში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, ავტობუსის ზოლში და ველობილიკებზე სატრანსპორტო საშუალებების გაჩერებასა და მოძრაობაზე სანქციები გავზარდეთ. როდესაც ქუჩების რეაბილიტაციას ვახორციელებთ, საფეხმავლო და ველობილიკები ეწყობა, ისინი ძირითადად, საპარკინგე ადგილებად არის გამოყენებული, რაც კატეგორიულად მიუღებელია. ასევე, სპეციალური საავტობუსე ზოლები, რომელიც მოეწყო იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს ყველაზე სწრაფი და მგზავრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დანიშნულების ადგილამდე სწრაფად მივიდნენ. შესაბამისად, ჩვენ გავამკაცრეთ კანონი, რომელიც უკვე ამოქმედდა. ცვლილებების თანახმად, ავტობუსის ზოლზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ან გაჩერება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო ველობილიკზე იგივე ქმედება გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. ასევე, დაწყებული გვაქვს პროექტი, რომელიც ე.წ. ჭკვიანი კამერების მონტაჟს ითვალისწინებს. შესაბამისად, გვექნება შესაძლებლობა, რომ ვინც კანონს დაარღვევს, ჯარიმები ავტომატურ რეჟიმში გამოეწერება. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ქალაქი ქალაქს დაემსგავსოს და გამართული ინფრასტრუქტურა იყოს. მინდა, მადლობა გადავუხადო პარლამენტს მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის, რადგან მათი თანადგომის გარეშე, ამ კანონის მიღება შეუძლებელი იყო“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

ოქტომბრიდან თბილისს ხუთი ახალი საბავშვო ბაღი შეემატება

რომორც **თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ახლადაშენებულ საბავშვო ბაღებში უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტები, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, უსაფრთხოების ბადეები, სახანძრო უსაფრთხოება და ა.შ. ამასთან, შენობები ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის.**

მისივე თქმით, ახალი ბაღების მშენებლობის შემდეგ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სიარულს დამატებით, 1 500-მდე ბავშვი შეძლებს.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვიცით, რომ ძალიან დიდია მოთხოვნა. შესაბამისად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბაღების რაოდენობა გაიზარდოს, მოწესრიგებული იყოს ინფრასტრუქტურა, რათა უფრო მეტ მშობელს ჰქონდეს შესაძლებლობა, თავიანთი შვილები საბავშვო ბაგა-ბაღებში ატარონ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა მშენებლობაში, რომელსაც ვახორციელებთ, აუცილებლად გათვალისწინებულია უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტები, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები, უსაფრთხოების ბადეები, სახანძრო უსაფრთხოება და ა.შ.“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ცვლება მეტროპოლიტენის მუშაობის განრიგი

ელექტროუსაფრთხოებისა **და სავენტილაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან 2020 წლის პირველ ივლისამდე, თბილისის „მეტროპოლიტენი“ 06:00-დან 23:00 საათამდე იმუშავებს,** – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, მეტროს ვაგონების რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რამდენიმე განახლებული შემადგენლობა კი მგზავრებს უკვე ემსახურება.

„გვაქვს მძიმე მდგომარეობა ელექტროგაყვანილობის თვალსაზრისით. აზიის განვითარების ბანკის ხელშეწყობით, გამოყოფილია 16 მილიონი დოლარი, რომელიც ძალოვანი კაბელების ჩანაცვლებასა და მთლიან რეაბილიტაციას მოხმარდება. რაც მეტრო გაიხსნა, მას შემდეგ, ამ ტიპის სამუშაოები არ წარმოებულა. პროექტის განხორციელების შედეგად, დაახლოებით, 450 კმ ძალოვანი კაბელი შეიცვლება, ახალი, თანამედროვე ISO-ს სტანდარტის კაბელებით. ასევე, პროექტის ფარგლებში, 28 საგვირაბე გამნიავებლის და 32 ახალი, ევროპული სტანდარტის ვენტილატორის მონტაჟი მოხდება“, – განაცხადა კახა კალაძემ. მისივე თქმით, პირველი ივლისიდან ახალი კაბელების საინსტალაციო სამუშაოები დაიწყება. სწორედ ამის გამო, მეტრო მუშაობის განრიგს ერთი საათით შეამცირებს.

„პროექტი მზად არის, გვყავს კომპანია, რომელიც სამუშაოებს შეასრულებს. ახალი კაბელების საინსტალაციო სამუშაოები პირველ ივლისს დაიწყება. პროექტი 2020 წლის ივლისში დასრულდება. პროექტის მიმდინარეობისას გარკვეული შეზღუდვების დაწესება მოგვიწევს, რომ კომპანიას და იქ მომუშავე ადამიანებს შესაძლებლობა მიეცეთ, ნორმალურ პირობებში იმუშაონ. ჩემთვის, ჩემი თანამშრომლებისთვის უსაფრთხოება ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, პირველი ივლისიდან მეტრო მუშაობას დილის 06:00 საათიდან დაიწყებს და ერთი საათით ადრე, 23:00 საათზე დაასრულებს. ჩემი თხოვნა იქნება სატრანსპორტო კომპანიასთან, რომ აღნიშნულის შესახებ მოსახლეობა ყველანაირად ინფორმირებული იყოს“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

ქართველი მეცნიერის აღიარება

წელს, 23-25 მაისს, შვედეთის ქალაქ გეტენბორგში ჩატარდა გერონტოლოგიისა და გერიატრიის საერთაშორისო ასოციაციის ევროპის რეგიონის (IAGG-ER) კონგრესი, რომელზეც დაბერების სფეროში - ფუნდამენტურ გერონტოლოგიაში, კლინიკურ გერონტოლოგიასა და სოციოლოგიურ გერონტოლოგიაში კონკურსის წესით გამოვლენილ სამ საუკეთესო ევროპელ მეცნიერს საპატიო მედალი და სიგელი გადასცა ასოციაციის პრეზიდენტმა კლემენს ტეტჩ-რიომერმა.

ფუნდამენტურ გერონტოლოგიაში ამ უაღრესად ავტორიტეტული საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის მიერ დაწესებული ჯილდო მიეკუთვნა ჩვენს თანამემამულეს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგეს, გენეტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, პროფესორ **თეიმურაზ ლეჟავას,** რაც ამ სფეროში მისი სამეცნიერო ღვაწლის საერთაშორისო აღიარებაა.

International Association of Gerontology and Geriatrics, European Region

INTERNATIONAL ASSOCIATION OF GERONTOLOGY AND GERIATRICS
Founded 1950

Advanced Scholar Award of IAGG-ER
for the Biological Sciences

is given to

Professor Teimuraz Lezhava

The Advanced Scholar Awards of IAGG-ER for the Biological Sciences is given to scientists who have expanded the significance and quality of European science in biological ageing research.

Professor Teimuraz Lezhava receives the IAGG-ER Award for Advances in Biological Ageing Research 2019. Professor Lezhava is a biologist and leader of the Institute of Genetics at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University (Georgia). He has advanced biological ageing research with his genetic conception of aging and his groundbreaking research involving human chromosomes, telemores and aging.

Gothenburg, 23. May 2019

Prof. Dr. Clemens Tesch-Römer,
President of IAGG-ER

სამეცნიერო წრეებში პროფესორი თ. ლეჟავა კარგად არის ცნობილი დაბერების გენეტიკური კონცეფციით და ნოვატორული კვლევებით, რომლებიც ადამიანის ქრომოსომებს, ტელომერებსა და დაბერებას ეხება. IAGG-ER-ის ჯილდოები ასევე გადაეცათ: კლინიკურ გერონტოლოგიაში — **ჯონ იანგს** (ინგლისი); სოციოლოგიურ გერონტოლოგიაში — **ჰანს-ვერნერ ვალს** (გერმანია).

წელს IAGG-ER-ის ჯილდოები იმ სამ მკვლევარს მიენიჭა, რომლებმაც ადამიანის ბიოლოგიური დაბერების ასპექტების შესწავლაში უდიდესი წვლილი შეიტანეს. გერონტოლოგიასა და გერიატრიაში IAGG-ER-ის სპეციალური ჯილდოების დაწესება ევროპაში ამ უაღრესად აქტუალური სამეცნიერო მიმართულებების მნიშვნელობისა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში მათი დამკვიდრების ხაზგასმაა.

ბატონმა თეიმურაზ ლეჟავამ უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, დიდი სამეცნიერო-შემოქმედებითი და სასწავლო-პედაგოგიური გზა განვლო. მას დაწერილი აქვს გენეტიკის ათამდე სახელმძღვანელო. მის მიერ დაწერილ გენეტიკის ქართულ სახელმძღვანელოებზე აღზრდილი გენეტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ (პროფესორის რანგში) აშშ-ის, იაპონიის, სინგაპურის, ინგლისის, ესპანეთის, ისრაელის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო ცენტრებში.

პროფესორ ლეჟავას მიერ პირველად იქნა დადგენილი, რომ დაბერების პროცესში ქრომატინის მოდიფიკაცია — ჰეტეროქრომატიზაცია პირველადია მუტაციებსა (ხარისხობრივი დარღვევების) და რეპარაციასთან (აღდგენასთან) მიმართებაში; რომ რიგი სინთეზური პეპტიდური ბიორეგულატორების მოქმედებით შესაძლებელია დაბერების პროცესში გენთა აქტივობის კორექცია, რაც სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დაბერების პათოლოგიების აცილების საშუალებას ქმნის.

პროფესორ თ.ლეჟავას გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია აშშ-ში, სამეცნიერო ნაშრომი Springer-სა და Elsevier-ის იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებსა და წიგნებში. მეცნიერის კვლევის შედეგები მოხსენიებულია რუსეთისა და ევროპის დარგობრივ ენციკლოპედიებსა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში.

მისი საერთაშორისო აღიარების დადასტურებაა ისიც, რომ გერონტოლოგიისა და გერიატრიის საერთაშორისო კონგრესის მიერ შეყვანილია კონგრესის „საკონსულტაციო საბჭოში“, რომლის საქმიანობა გამოიხატება კონგრესისთვის ნაშრომების შერჩევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის ბიოგერონტოლოგთა ასოციაციამ პროფესორ თ.ლეჟავას შესთავაზა ენციკლოპედიისთვის დაბერებისას ქრომატინის რემოდელირების შესახებ შრომის დაწერა.

ბატონი თეიმურაზ ლეჟავა აქტიურად წარმოაჩენს გენეტიკის ქართულ სკოლას საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში როგორც სპიკერი.საგულისხმოა ის ფაქტი,რომ გერონტოლოგთა და გერიატრთა მე-17 (კანადა, 2001 წ.), მე-18 (ბრაზილია 2005წ.) და მე-20 (კორეა, 2013 წ.) მსოფლიო კონგრესთა სამუშაო გეგმაში პროფესორ თ. ლეჟავას მიერ ცალკე იყო შეტანილი სიმპოზიუმი „Chromosomes and Aging“. იგი ასევე ორგანიზატორია საერთაშორისო სიმპოზიუმისა — „დაბერების ციტოგენეტიკა“, რომელმაც რეგულარული ხასიათი მიიღო და, თბილისის გარდა, 1987 წელს ხიროსიმაში(იაპონია) ჩატარდა.

2011 წლის 25 თებერვალს კი პროფესორმა თ. ლეჟავამ დააარსა თბილისის უნივერსიტეტში გენეტიკის ინსტიტუტი.

* * *

გულითადად ვულოცავთ პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას მეცნიერული ღვაწლის ესოდენ დიდ დაფასებას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ მის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ოთარ ტურაბელიძე.

სურათზე: შვედეთის ქალაქ გეტენბორგში ქართველ გენეტიკოსს, გენეტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას IAGG-ER-ის ჯილდოს გადასცემს ორგანიზაციის პრეზიდენტი, დოქტორი კლემენს ტეტჩ-რიომერი.

გაზის შიდა ქსელების შემოწმება სავალდებულო უნდა გახდეს!

რამდენად გამართულია თქვენს ბინაში ბუნებრივი აირის სისტემა? ახალი ინიციატივის მიხედვით, შიდა ქსელების შემოწმება შესაძლოა სავალდებულო გახდეს. სამთავრობო სტრუქტურებში მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც გაზის დანადგარების მონტაჟთან დაკავშირებით ახალ წესებს ადგენს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენელი გიორგი ფანგანი ამბობს, რომ თუ ცვლილებები დამტკიცდა, შეიქმნება კერძო სერტიფიცირებული სამსახურები, რომლებიც შიდა ქსელების შემოწმებაზე იქნებიან პასუხისმგებლები. ასევე, სავალდებულო გახდება, სახლში გაზქურა თუ გამათბობელი სერტიფიცირებულმა ხელოსანმა დაამონტაჟოს. ინსპექციას შეეძლება, საშიში დანადგარი სისტემიდან ჩახსნას, ხოლო თუ მომხმარებელმა ის ისევ აღადგინა, ჯარიმის გადახდა მოუწევს. ბინა წელიწადში ერთხელ მაინც შემოწმდება.

ენერგოომბუდსმენი სალომე ვარდიაშვილი ამბობს, რომ შესაძლოა სავალდებულო გახდეს სახლებში (ახლად აშენებულშიც და ძველშიც) გაზის დეტექტორების დამონტაჟებაც, თუმცა, გიორგი ფანგანი შენიშნავს, რომ ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

„დეტექტორი ყველგან არ არის აუცილებელი, უფრო კორპუსებში. გამოიკვეთება რისკჯგუფები, თუ სად არის უკეთესი, მათი დაყენება“, — ამბობს ის.

დეტექტორები სხვადასხვაგვარია — მარტივი, რომელიც ოთახში ბუნებრივი აირის დაგროვების შემთხვევაში საგანგაშო სიგნალს რთავს, და უფრო რთული, რომელსაც შეუძლია, თავად გამორთოს გაზის მიწოდება.

საკანონმდებლო ცვლილებებამდე ენერგოომბუდსმენი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას აპირებს. სალომე ვარდიაშვილი ამბობს, რომ, როგორც წესი, ტრაგიკული შემთხვევები სწორედ კერძო პირების დაუდევრობით ხდება.

„დღემდე საშიშ მდგომარეობაში ვართ, რადგან არ ვიცით, ოჯახებში შიგნით რა ხდება... არ არსებობს ინსპექცია, რომელიც სავალდებულოდ შეამოწმებს შიდა ქსელებს. არ ვართ არაფრისგან დაცულები. მოქალაქეები ჩვენს რეკომენდაციებს არ ითვალისწინებენ. როცა მათ ეუბნებიან, რომ კონკრეტული დანადგარი საფრთხეს შეიცავს, ისინი თვითნებობენ და მაინც კუსტარულად ამონტაჟებენ“, — ამბობს ის.



ამ ეტაპზე ენერგოომბუდსმენს შემდეგი რეკომენდაციები აქვს:

- **ახალი ბინის შეძენის ან დაქირავების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოითხოვეთ გაზმომარაგების სისტემის შემოწმება. მომსახურება უფასოა!**
- **სახლიდან გასვლამდე შეამოწმეთ და გადაკეტეთ გაზზე მომუშავე დანადგარებისა და გაზის მილის ონკანები.**
- **აუცილებელია ოთახების ხშირად განიავება, ვინაიდან შესაძლებელია გაზის ნამწვავი მხუთავი აირი CO ოთახში გაიფრქვეს!**
- **უნდა ჩაიხსნას ლიაკამერიანი წყალგამაცხელებლები (ე.წ. „კალონკები“) და გაზგამათბობლები.**
- **დაუშვებელია კორპუსის სავენტილაციო არხების გამოყენება საკვამლე მილების მისაერთებლად, რადგან საფრთხე ექმნებათ სხვა მობინადრეებს.**
- **პერიოდულად უნდა შემოწმდეს და გაიწმინდოს საკვამლე-სავენტილაციო არხების გამართულობა.**
- **დროულად ითანამშრომლეთ მომსახურე კომპანიასთან და ზედმიწევნით შეასრულეთ სპეციალისტების მითითებები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.**

იმ შემთხვევაში, თუ იგრძენით ბუნებრივი აირის სუნი, შეწყვიტეთ საქმიანობა, დატოვეთ შენობა და დარეკეთ შესაბამის სამსახურებში: ტელ: 112, 114 ან 16 114.

თეა თოფურია

კრემლის ლანძღვა-გინებით ფონს ვერასოდეს გავალთ!

...კითხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და არა რიტორიკული, ვინაიდან ჩვენი მძიმე ეკონომიკურ-სოციალური ყოფა, დუხჭირი ცხოვრება არის ფონი არსებული კითხვისა. საქართველოს მოსახლეობას ათ წელიწადზე მეტია გარკვევით არ უთქვამს ქვეყნის სადღეისო ან სახვალიო განვითარების მიმართულებებზე. 2008 წლის გამოკითხვა – გვინდა თუ არა ნატოში – ვერ გახდება ინდიკატორი, ვინაიდან მაშინ ამომრჩეველი აშკარად არ ფიქრობდა ქვეყნის ორიენტაციაზე. მას საძულველი არაადეკვატური, ბაქია პრეზიდენტის მოშორების პრობლემა უტრიალებდა თავში.

მაისის ბოლოს ქ. ნურ-სულთანში (ძველი ასტანა) „ევრაზესის“ საიუბილეო სამიტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების (რუსეთის, ბელარუსის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის) მეთაურებმა და დამკვირვებლის სტატუსის მატარებელი ქვეყნების (მოლდოვას, ტაჯიკეთის) პირველმა პირებმა. სამიტს ესწრებოდა ყაზახეთის ყოფილი პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, რომელიც აირჩიეს „ევრაზესის“ საპატიო პრეზიდენტად.

აღნიშნული ორგანიზაციის შექმნაში, ისე, როგორც ყოფილ საბჭოთა სივრცეში ევრაზიული კავშირის ჩამოყალიბებაში, უდიდესი წვლილი მიუძღვის ნურსულთან ნაზარბაევს და რომ არა მისი თავდაჯერებული, პრაგმატული მიდგომა კავშირისადმი, არავითარ მსგავს ორგანიზაციას ადგილი არ ექნებოდა, რის შესახებაც სულ მუდამ აცხადებდა და აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი.

ევრაზიული კავშირის ჩამოყალიბება არცთუ იოლი გამოდგა, ვინაიდან რუსეთის მიერ დამოუკიდებლობანაბოძები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები – მოჭარბებული ნაციონალური განწყობით, ნაცვლად ინტეგრაციისა, დეზინტეგრაციას აღმერთებდნენ და თვალი არა ძველი და ნაცადი მეგობრებისკენ ეჭირათ, არამედ უცნობი ქვეყნებისკენ, რომელთა უმრავლესობას მწირი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე.

განვლილმა დამოუკიდებლობის წლებმა, ურთულესმა ეკონომიკურ-სოციალურმა პრობლემებმა, სიღარიბემ, გაუსაძლისმა ცხოვრებამ, საზღვარგარეთის ზღაპარმა, რომელიც საბჭოური ცხოვრების სარკმლიდან მომნუსხავად მოქმედებდა მათზე, დამოუკიდებლობის რეალურმა აღქმამ აიძულა ისინი, დაფიქრებულიყვნენ და გადაედგათ პრაქტიკული ნაბიჯები ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ.

ხუთი წელი ისტორიისთვის ერთი გაელვებაც არ არის, თუმცა პრაგმატიზმისა და საქმისადმი პრაქტიკული მიდგომის შემთხვევაში – საუკუნეა. ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა, „ევრაზესის“ წევრებმა დაინახეს, რომ ისინი ერთმანეთს სჭირდებიან, რომ მათი ეკონომიკის აღორძინება და წინსვლა არა მარტო უცხოურ ინვესტიციებზეა დამოკიდებული, არამედ ერთმანეთთან თანამშრომლობაზე, საერთო პროდუქციის შექმნაზე – ესოდენ საჭიროზე საკუთარი ბაზრის და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ბელარუსული მძიმე სატვირთო ავტომანქანები „ბელაზები“, სანახევროდ რუსეთში, „ევრაზესის“ სხვა ქვეყნებში დამზადებული ავტონაწილებისგან იწყობა, ისე, როგორც ბელარუსული ტრაქტორები, რუსული შვეულმფრენები, თვითმფრინავები და სხვა.

„ევრაზესმა“ თვალნათლივ დაგვანახა, რას ნიშნავს პრაგმატული თანამშრომლობა, რომელსაც ხშირად ჩვენი ექსპერტები და ვაი-პოლიტიკოსები რუსულ დიქტატთან აიგივებენ. ეს კატეგორია ვერა და ვერ მიმხვდარა, რომ „დიდი რუსი ძმის“ ფაქტორი საბჭოეთის გაქრობასთან ერთად გაქრა და მას არავითარი კავშირი არა აქვს თანამედროვეობასთან.

ცხოვრებამ გვაჩვენა ის რთული ურთიერთობებიც, რომლებიც არსებობენ „ევრაზესის“ ქვეყნებში საკამათო საკითხებთან დაკავშირებით. ისიც გვაჩვენა, თუ რა ხშირად უხდებათ ამ თემებზე ცალ-ცალკე მოლაპარაკებების წარმოება. რა გაეწყობა, ყველას თავისი მიდგომა აქვს საკითხებისადმი და მათი შეუჯერებლობა საერთო საქმის შეუსრულებლობის მანიშნებელია, რაც საბოლოო ჯამში თითოეულის ბიუჯეტზე აისახება, ცხადია, ნეგატიურად.

იბადება ასეთი კითხვაც – „ევრაზესი“ უკრძალავს თუ არა წევრ სახელმწიფოებს არაწევრ, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ქვეყნებთან კავშირების დამყარებას?

პასუხი არის მარტივი – არა!.

„ევრაზესი“ ევროკავშირი არ არის, რომელიც უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ იანუკოვიჩს აიძულებდა, მხოლოდ მასთან ანუ ევროკავშირთან ჰქონოდა ურთიერთობა და არა რუსეთთან. „ან ჩვენ, ან ისინი“ – ასეთი იყო მაშინდელი ევროკავშირის ხელმძღვანელობის ულტიმატუმი უკრაინისთვის, რომელმაც ვერ გარისკა საუკუნოვანი ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა რუსეთთან და ჭოჭმანობის დროს „მაიდნის რევოლუციაც“ მიიღო.

2014 წლის გადატრიალებამ უკრაინის სათავეში მიიყვანა პროდასავლური ძალები, რომლებიც ადვილად დათანხმდნენ. ვაშინგტონ-ბრიუსელის მოთხოვნას რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის შესახებ. შედეგი – დაქცეული ეკონომიკა, გაპარტახებული სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, უკიდურესად გაუარესებული სოციალური ვითარება.

უკრაინელთა დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი უაღრესად ნეგატიურად აისახა პრეზიდენტის ამასწინანდელ არჩევნებზე – ამომრჩეველთა 75%-მა პრეზიდენტ პოროშენკოსა და მის მმართველობას უარი უთხრა.

„ევრაზესთან“ ურთიერთობის სურვილი გამოთქვა 40-მა ქვეყანამ. ისინი მზად არიან, ითანამშრომლონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლების, მეცნიერების, ფინანსების, ტურიზმისა და სხვა დარგებში.

რა დააკლდებოდა საქართველოს, თუ არ მოემატებოდა ამ ორგანიზაციაში ყოფნით, ან მასთან თანამშრომლობით?

...კითხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და არა რიტორიკული, ვინაიდან ჩვენი მძიმე ეკონომიკურ-სოციალური ყოფა, დუხჭირი ცხოვრება არის ფონი არსებული კითხვისა. საქართველოს მოსახლეობას ათ წელიწადზე მეტია, გარკვევით არ უთქვამს ქვეყნის სადღეისო ან სახვალიო განვითარების მიმართულებებზე. 2008 წლის გამოკითხვა – გვინდა თუ არა ნატოში – ვერ გახდება ინდიკატორი, ვინაიდან მაშინ ამომრჩეველი აშკარად არ ფიქრობდა ქვეყნის ორიენტაციაზე. მას საძულველი არაადეკვატური, ბაქია პრეზიდენტის მოშორების პრობლემა უტრიალებდა თავში.

უცხოური ორგანიზაციების შეკვეთით ჩატარებული გამოკითხვები რეალურ სურათს არ იძლევა. საჭიროა ახალი რეფერენდუმი, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს ჯანსაღი ახსნა-განმარტება – რას წარმოადგენს ნატო და ევროკავშირი და რას აძლევს ეს ორგანიზაციები საქართველოს. რა იქნება თუ საქართველო აირჩევს ნეიტრალური განვითარების გზას და ა.შ.

რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს ფალსიფიკაციის, სახელმწიფო ზეწოლის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში უადგილოდ მიმაჩნია მუდამ იმის ძახილი, რომ საქართველოს მოსახლეობამ, 2008 წელს აირჩია ევროატლანტიკური განვითარების გზა.

რეფერენდუმის ჩატარებამდე, უნდა აიკრძალოს მედიაში რუსეთის ლანძღვა-გინება და არა მარტო რეფერენდუმამდე, საერთოდ უნდა აიკრძალოს ეს პროვინციული, იდიოტური რიტორიკა, ვინაიდან ლანძღვა-გინებით ფონს ვერავინ გასულა, საქმე კი გაფუჭებულია.

არადა, რაც არ უნდა ვლანძღოთ რუსეთი, ადრე თუ გვიან მოლაპარაკება მაინც დაგვჭირდება. თუ ჩემი არ გჯერათ, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე კარგად აწონ-დაწონეთ და შემდეგ თქვით – მოგვიტანა?

საქართველოს თითქმის ყველა მედიასაშუალება თავს უფლებას აძლევს, უშვერი სიტყვებით ლანძღოს რუსეთი. ამ საკითხში იდენტურნი არიან საქართველოში არსებული უკლებლივ ყველა პარტია თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა და ამას ისე შეაჩვიეს მსმენელმაყურებელი, თითქოს ძილის წინ „იავნანას“ უმღეროდნენ.

სულ ახლახან ამაზრზენი შთაბეჭდილება მოახდინა ჟურნალისტ ინგა გრიგოლიასა და „ლეიბორისტ“ შალვა ნათელაშვილის ლამის ხელჩართულმა კამათმა. ნათელაშვილი შეეხო რა დავითგარეჯის თემას – ილჰამ ალიევი ოკუპანტად მოიხსენია, რაზეც გაწიწმატებულმა გრიგოლიამ ბრძანა – ოკუპანტი მარტო რუსეთია და მეგობარი აზერბაიჯანი არაო. ნათელაშვილმა თავისი გააგრძელა – ოკუპანტია ყველა, ვინც ქართულ მიწებს წაგვართმევს – ალიევი, პუტინი, ერდოღანი, სხვები და სხვები. ამ წივილ-კივილმა ვერადავერ დაადგინა ნამდვილი ოკუპანტი. კამათი უკომპრომისოდ დაასრულა გრიგოლიამ, თუმცა მან მაინც თქვა „სეფე სიტყვა“ – რუსეთი ოკუპანტია!

ჩემში გაკვირვება გამოიწვია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა მანანა ნოზაძის ინტერვიუმ მამუკა გიორგაძესთან. ინტერვიუს წამძღვარებული აქვს რუსული არხის „როსია-1“ სიუჟეტის ავტორის ჟურნალისტ მაქსიმ კისილიოვის ლანძღვა, რომელმაც გაბედა და თქვა: რომ საქართველოში სულ უფრო იზრდება რუსულად მოლაპარაკეთა რაოდენობა; რომ რუსი ინვესტორები საქართველოში ქონების შესაძენად უფრო მეტ ფულს ხარჯავენ, ვიდრე თურქები, არაბები; რომ საქართველოში სამიდან ორი ტურისტი რუსია; რესტორნებში მომსახურე პერსონალი რუსულად ლაპარაკობს; რომ მეფისნაცვალ ვორონცოვს გაუზრდია ქართული ღვინის წარმოება; ქართული ჩაიც არ იარსებებდა, რომ არა ვორონცოვი და ა.შ.

ჟურნალისტს, რომ საღი თვალით შეეხედა ქართულ-რუსული ისტორიული ურთიერთობებისთვის, მამუკა გიორგაძის დახმარება არ დასჭირდებოდა ქართველი ინტერნეტმომხმარებლების აღშფოთების დასაოკებლად, რომლებიც კისილიოვის ნათქვამს რუსულ პროპაგანდად აღიქვამენ.

მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი ამბობს, რომ ამ სიუჟეტის გადაღების საშუალება საქართველოში არ უნდა მიეცათ; ვიღაც ბაციკაძე გაკვირვებულია იმით, რომ საქართველო ევროპისკენ მიისწრაფვის და ისევ რუსული ენა დომინირებს და ა.შ.

მართლაცდა, ვაი, ჩვენი ბრალი!

რუსული ენა გაეროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი სამუშაო ენაა, ისე, როგორც სხვა რესპექტაბელური საერთაშორისო ორგანიზაციების. რუსული ენისადმი ინტერესი დღითი დღე მატულობს, რაც არა მარტო ენის სიყვარულით არის გამოწვეული, არამედ თვით რუსეთის, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირებით მსოფლიოს ქვეყნებთან.

მსოფლიო პოლიტიკაში ამა თუ იმ ქვეყნის გავლენის ზრდა თავისთავად იწვევს ამ ქვეყნის ენისადმი ინტერესს, ამდენად, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხვალ ინგლისურზე მეტად მოთხოვნა ჩინურ ენასაც ექნება. რუსული – დოსტოევსკის, პუშკინის, ტოლსტოის, ჩეხოვის, ენაა და ლიტერატურის თაყვანისმცემელი ამ კორიფეების ორიგინალში წაკითხვას ლამობენ.

რაც შეეხება ვორონცოვს – მან მართლაცდა დადებითი როლი შეასრულა საქართველოს განვითარებაში. ღვინის ქარხნული წარმოება და ექსპორტიც მის სახელს უკავშირდება. რა გასაკვირია ის, რომ ჩაის კულტურა მეფის რუსეთმა დანერგა საქართველოში. სწორედ რუსეთის მეცადინეობით ჩამოიყვანეს ჩინელი სპეციალისტი აჭარაში (ჩაქვში) – ჩაის კულტურის განსავითარებლად.

რუსმა ჟურნალისტმა თქვა ის, რაც ისტორიულად ცნობილი, აღწერილი და დადასტურებულია. სამწუხარო (ქართველი ჟურნალისტის მიხედვით) ის კი არ არის, რომ მან ეს თქვა, სამწუხარო ისაა, რომ მან იცის, ხოლო ჩვენ – არა. ისე კი უმჯობესი იქნებოდა საკუთარი ისტორიის შესწავლა, ნაცვლად ლანძღვა-გინებისა. რა გაეწყობა – ლანძღვას სწავლა არ სჭირდება, იოლია, თუკი შუბლის ძარღვი გაწყვეტილი გაქვს!..

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მასშტაბური წვრთნები მიმდინარეობს

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მასშტაბური წვრთნები მიმდინარეობს. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ამის შესახებ ადგილობრივი მცხოვრები გიორგი კასრაძე იუწყება. მისი თქმით, ე.წ. ძარწემის პოლიგონზე რუსეთის საჯარისო ნაწილები მსხვილკალიბრიანი იარაღიდან ისვრიან და ხმა იმდენად ძლიერია, რომ ქართველი სამართალდამცველების კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სოფლებშიც ისმის.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე წვრთნები ადგილობრივ მოსახლეობას აშინებს. სოფელი ერგნეთი ოკუპირებულ ცხინვალიდან რამდენიმე ასეული კილომეტრითაა დაშორებული.

ᲡᲐᲜᲐᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ „ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ“, ᲘᲜᲒᲣᲨᲗᲘᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲜᲐᲧᲕᲐᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ!

რუსული პროპაგანდისტული მედიის ცნობით, ინგუშეთის დედაქალაქ მაგასსა და სხვა მსხვილ დასახლებულ პუნქტებში რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან გასვლისა და საქართველოსთან მიერთებისკენ მოწოდებების შემცველი „ანტისახელმწიფოებრივი“ პროკლამაციები ვრცელდება.

„მივმართავთ საქართველოს ხელმძღვანელობას და მსოფლიო თანამეგობრობას, მხარი დაუჭირონ ჩვენს არჩევანს და მიიღონ ინგუშეთი საქართველოს შემადგენლობაში, ასევე განახორციელონ პასპორტიზაცია საქართველოს ან „დიდი შვიდეულის“ წევრი ქვეყნების (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია და იტალია) შიდა პასპორტებით“, — ნათქვამია პროკლამაციებში, რომელიც მაგასსა და სხვა ინგუშურ ქალაქებში ვრცელდება.

თავად ინგუშეთის ლიდერ იუნუს-ბეკ ევკუროვის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციების ორგანიზატორები ამ მოწოდებებთან კავშირს უარყოფენ.

„სავარაუდოდ, საქმე გვაქვს რაღაც ახალი რადიკალური ძალების გამოჩენასთან, რომლებიც მზად არიან, ჩვენგან განსხვავებულ, სხვა ფორმატში გამოვიდნენ ინგუშეთის მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ინგუშეთის ოპოზიციის ინტერნეტ-რესურსს „fortanga.org“—ზე გამოქვეყნდა.

თუმცა როგორც რუსული პროპაგანდისტული მედია აღნიშნავს, არსებობს არაერთი ფაქტი, რომელიც საპირისპიროზე მეტყველებს.

„ინგუშ ნაციონალისტებს შორის მრავლად არიან არაქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდებით სახელგანთქმული სამხედრო დამნაშავის — შემდგომში პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თაყვანისმცემლები. „ზვიადი გრძნობდა ინგუშებისა და კავკასიის ყველა ხალხის ტკივილს, იგი იბრძოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის დამოუკიდებლობისთვის“, — განუცხადა 2014 წელს ქართულ მედიას გამსახურდიას მეგობარმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ, ინგუშმა მწერალმა ისა კოძოევმა.

„მიმდინარე წლის აპრილში ინგუშური ოპოზიციის პროტესტს სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეომიმართვით ღიად დაუჭირა მხარი ყაბარდო-ბარლყარელმა საზოგადო მოღვაწემ იბრაგიმ იაგანოვმა, რომელიც ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიაში „ქართული სასწაულის“ პროპაგანდირებით, უპირისპირებს რა ქართულ გამოცდილებას კავკასიაში რუსეთის „იმპერიალისტულ კორუფციულ პოლიტიკას“. 2008—2009 წლებში იაგანოვი თბილისში იყო ჩასული და იმჟამინდელ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ხვდებოდა. 2018 წლის ოქტომბერში იაგანოვი ყაბარდო-ბალყარული უფლებადამცველი ცენტრის ხელმძღვანელ ვალერი ხატაჟუკოვთან ერთად მაგასში ოპოზიციის მიტინგზე სიტყვითაც გამოვიდა. 2011 წელს კი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით მხარი დაუჭირა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის მოქმედების „ჩერქეზების გენოციდად“ აღიარებას, ხათაჟუკოვმა და იაგანოვმა ამას მაღალი შეფასება მისცეს. ამასთან, მიმდინარე წლის მარტში მაგასში არეულობებით დასრულებული მიტინგის წინა პერიოდში საპროტესტო მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ახმედ ბარახოევი ასევე ჩასული იყო საქართველოში. გარდა ამისა, სოციალური ქსელების ჯგუფებში, სადაც ინგუში ოპოზიციონერები არიან გაწევრიანებულები, სულ უფრო ხშირად ჩნდება საქართველოს მადიდებელი „პოსტები“. საპროტესტო მოძრაობაში ჩაბმული ინგუშებისთვის თანამედროვე საქართველო ისტორიული ოპონენტია ჩრდილოეთ ოსეთისა, რომელსაც ინგუში ნაციონალისტები ინგუშური მიწების „ოკუპანტ რესპუბლიკად“ მიიჩნევენ“, — წერს რუსული მედია.

კავკასიოლოგი *ალეკო კვახაძე* აღნიშნულს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ინგუშური საპროტესტო ტალღის დისკრედიტაციის მცდელობად აფასებს.

როგორც კვახაძემ *„აქცენტს“* განუმარტა, ინგუშურ პროტესტს გულშემატკივრები აღმოაჩნდა მთლიანად რუსეთის ოპოზიციურ საზოგადოებაში და, შესაბამისად, გაჩნდა „საფრთხე“, პროტესტმა ფედერაციის მასშტაბით ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს.

„თვალს ვადევნებ ინგუშეთში მიმდინარე მოვლენებს, დარეგისტრირებული ვარ ჯგუფში, რომელშიც პროტესტის ორგანიზატორთა მიერ ყველა სიახლე ქვეყნდება და იქ მსგავსი არაფერი ყოფილა. ვფიქრობ, ეს ყველაფერი რუსეთის შიდა მოხმარებაზეა გათვლილი, რათა ხალხის რეალური განწყობა „მტრული სახელმწიფოების სპეცსამსახურების მიერ მართულ პროტესტად“ წარმოაჩინონ. წინააღმდეგობამ არნახული მასშტაბი მიიღო, რუსეთის ფედერაციისთვის უპრეცედენტო მობილიზაცია გამოვლინდა; მას მკაფიოდ დაუჭირა მხარი რუსეთის ოპოზიციურად განწყობილმა საზოგადოებამ; ბევრმა აღნიშნა, რომ სწორედ ესაა მაგალითი, როგორ უნდა მოხდეს რუსეთში ანტიპუტინური პროტესტის მობილიზება. რუსეთის ლიდერებმა პროცესი საფრთხედ აღიქვეს, რადგან მან შესაძლოა, ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს. სწორედ ამიტომ დაიწყეს პროტესტის შიდა დონეზე დისკრედიტაცია, საქმის იმგვარად წარმოჩენა, თითქოს ამ ხალხს სამართლიანი მოთხოვნა კი არ აქვს, არამედ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა. ვფიქრობ, შემდეგი ნაბიჯი ამ პროტესტის „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირების მცდელობა იქნება და შესაბამისი ბუკლეტებიც გავრცელდება“, — ამბობს კავკასიოლოგი.

არც საქართველოა შემთხვევით შერჩეული:

„რუსეთის სპეცსამსახურებმა იციან, რომ ინგუშეთსა და საქართველოს შორის ძალიან თბილი ურთიერთობაა. მიუხედავად რუსული პროპაგანდის ინტენსიური მუშაობისა, მან ვერც აფხაზეთის და ვერც ცხინვალის კონფლიქტში შეძლო ინგუშეთიდან ე.წ. ბოევიკების მობილიზება. ინგუშები ხალხის დონეზეც კი მკაფიოდ უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“.

პროკლამაციების გავრცელების მიზნებთან დაკავშირებით ანალოგიური მოსაზრება აქვს კონფლიქტოლოგ *გიორგი კანაშვილსაც.*

„ადრეც რამდენჯერმე გაიჟღერა საქართველოსთან მიერთების იდეამ, თუმცა რაიმე პოლიტიკურ ერთობაზე სერიოზული მსჯელობა და საუბარი არასდროს ყოფილა, მით უფრო დღევანდელი რუსეთის პირობებში ამაზე საუბარიც ზედმეტია. გამოვრიცხავ, რომ საქართველო იყოს პროცესში ჩართული, ან აგულიანებდეს პროტესტის ორგანიზატორებს. პირიქით, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, წინასგან განსხვავებით, ზედმეტად ფრთხილია ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში. დარწმუნებული ვარ, თავის დროზე მოსკოვიდან იყო თხოვნა „ქართული ოცნების“ მიმართ, წინა ხელისუფლების დროს გატარებული აქტიური პოლიტიკა შეეწყვიტა და ასეც მოხდა. შესაბამისად, საქართველოსთვის ამ კუთხით რაიმეს დაბრალება სრული სისულელეა და არც პერსპექტივა აქვს“ — განუცხადა „აქცენტს“ კანაშვილმა.

ამასთან, ეს და სხვა მაგალითები საქართველოს ხელისუფლებისთვის დამაფიქრებელი უნდა იყოს:

„ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოსთან მიმართებაში პოზიტიური განწყობებია, არის ისტორიული კავშირები და ა.შ., რასაც არ ვიყენებთ, არაფერს ვაკეთებთ, რაც სრულიად არასახელმწიფოებრივია, რუსეთი კი ყოველთვის ცდილობს და ეცდება ჩრდილოეთ კავკასიის ჩვენს წინააღმდეგ გამოყენებას“.

(მეოთხე გვერდიდან)

სასარგებლოდ არ მიიჩნევენ, მაგრამ დღეს სხვა რეალობაა და ის პერიოდი არ არის, როცა გაუფასურდა საბჭოთა ანაბრები.

„პირდაპირ ვეუბნები ამ ადამიანებს, დღეს სხვა რეალობაა, დღეს ინსტიტუციები მუშაობენ, დღეს ევროკავშირის წევრობამდე ცოტაღა გვაკლია, სულ სხვა მაკროეკონომიკური მოცემულობაა. შედარებაც არ შეიძლება იმ საქართველოსი და ამ საქართველოსი, იმ ეკონომიკის და ამ ეკონომიკის. ჩემი მოსაზრებით, ეს რისკი მომავალში ძალზე მინიმალიზირებულია. საპენსიო ფონდის მიმართ უნდობლობა მეტწილად შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ გარემოებასთან, რომ ადამიანების ეს კატეგორია იმ პერიოდშია დაბადებული, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და რთული პერიოდის მომსწრენი გახდნენ, მოხდა ჰიპერინფლაცია, გაუფასურდა საბჭოთა ანაბრები, შესაბამისად, მათ მიერ დაგროვილი დანაზოგები აორთქლდა, დაიკარგა. მათ ახლაც ჰგონიათ, რომ იგივე შეიძლება განმეორდეს და რისკები არსებობს, მაგრამ ახლა სულ სხვა დროა. საპენსიო ფონდში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია“, — აცხადებს **შოთა გულბანი** და კონკრეტულ პრიორიტეტებზეც ამახვილებს ყურადღებას.

მისი თქმით, ამ სქემაში მონაწილეობით ჩვენ უკეთეს სოციალურ სისტემას მივიღებთ, ამით ადამიანებს შეეძლებათ ფინანსურად ღირსეული სიბერე უზრუნველყონ და რა კონტრიბუციაც შეიტანეს ეკონომიკაში, საპენსიო ასაკში გასვლისას იმის საზღაური ადეკვატურად მიიღონ, არ იყვნენ დამოკიდებულნი მხოლოდ საბაზისო პენსიაზე, რაც სამართლიანობისგან შორსაა. თუკი ადამიანმა ჩვენი ეკონომიკის მშენებლობაში დიდი ღვაწლი გაიღო, შესაბამისად, მან დამსახურებულად უნდა მიიღოს პენსია. სწორედ საპენსიო ფონდი გვაძლევს ამის შესაძლებლობას და ის სტიმულია საინვესტიციო თვალსაზრისითაც. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, რომ 20 ლარის ინვესტირებით მომენტალურად ადამიანი მიიღებს 60 ლარის უკუგებას. ანალოგიური საფინანსო შესაძლებლობა ინვესტირების თვალსაზრისით არც ერთ საფინანსო კომპანიას არ აქვს საქართველოში.

„ყურადღსაღებია ისიც, რომ სახელმწიფო მხოლოდ საბაზისო პენსიაზე დამოკიდებული ვერ იქნება, რადგან მომავალში პროგნოზირებულია, რომ გაიზრდება ფისკალური წნეხი, გაიზრდება პენსიონერთა რაოდენობა და ათი წლის განმავლობაში მილიონს მიაღწევს. შესაბამისად, გაიზრდება ბიუჯეტიდან საპენსიო გასაცემლების ზრდის აუცილებლობაც. დიდი წნეხის წინაშე დგება სახელმწიფო, თუ არ მოხდა პერიოდულად ჩანაცვლება დაგროვებითი საპენსიო სისტემით. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ჩვენ გავზრდით პენსიონერებზე გასაცემ თანხებს, ამით შემცირდება საყოველთაო ჯანდაცვა, სოციალური პროგრამები, თავდაცვა, ანუ ბევრ სხვა რამეს მოაკლდება თანხები. ხომ იცით, ბიუჯეტიდან თუნდაც განათლებისთვის დახარჯული ერთი დოლარიც კი აკლდება, სიტყვაზე, თავდაცვის სფეროს. მოგეხსენებათ, ჩვენ შეზღუდულები ვართ ბიუჯეტში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება — ეს არის ეკონომიკური ზრდა. სხვადასხვა ეკონომიკური გათვლებით, ნავარაუდევია, რომ ამით დაახლოებით 3-4%-ით შევუწყობთ ეკონომიკურ ზრდას ხელს, რადგან ამ რეფორმის წყალობით ხელი შეეწყობა კაპიტალის ბაზრის განვითარებას. სწორედ კაპიტალის ბაზრის გავლით შიდა საინვესტიციო რესურსი მობილიზდება და რამდენიმე წელიწადში უკვე მილიარდები იქნება, რაც გამოყენებულ იქნება საქართველოს ეკონომიკაში. საქართველოს ეკონომიკაში ეს შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებზე ინვესტირების და წარმატებული ქართული კომპანიების ფასიანი ქაღალდების შესყიდვის და სხვებისთვის სტიმულის მიცემის გზით, რომ სხვებმაც, სხვა ქართულმა კომპანიებმაც აქტიურად დაიწყონ ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ამაში იყოს ინვესტირებული ეს თანხები. ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას“.

ამასთან, შოთა გულბანი აცხადებს, რომ პირადად იგი ახალგაზრდაა და ამიტომ საპენსიო ფონდის იმ სავალდებულო სისტემაშია ჩართული, რომელიც 40 წლამდე ადამიანებისთვისაა განკუთვნილი. მისი თქმით, ზოგადად, ადამიანის ფსიქოლოგიაა ასეთი, რომ ის მიდრეკილია მოკლევადიანი დანაზოგის გაკეთებაზე. ახალგაზრდისთვის ცოტა რთულია, წარმოიდგინოს თავისი სიბერე და ამ სიბერისთვის ახლავე დაიწყოს ზრუნვა. ევროპული ცნობიერება სჭირდება ამას, რომ ენდო დაგროვებით საპენსიო სისტემას.

შოთა გულბანის თქმით, კარგია, რომ ეს რეფორმა ამჯერად მთავრობისაა და მასშტაბურად მოიცავს საქართველოს მთლიან მოსახლეობას. ასე რომ არ ყოფილიყო და 40 წლამდე ასაკის დასაქმებული პირებისთვის საპენსიო სისტემაში ჩართვა სავალდებულო არ გამხდარიყო, ეს რეფორმა უბრალოდ ვერ განხორციელდებოდა, ვერ შეგროვდებოდა ამხელა თანხები და ეს თანხები ვერ მოხმარდებოდა ეკონომიკის განვითარებასა და შემდგომში უკვე მოსახლეობის პენსიების უზრუნველყოფას.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ჭიდაობა

წლეულსაც იმდენივე... და კიდევ შანსი

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი რევაზ ლაშხი) შარშან ევროპის პირველობაზე თითო ოქრო-ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს ნადავლი მოინაგრა. ჩვენმა ბიჭებმა მსგავს წარმატებას წლეულს ესპანეთის ქალაქ პონტევედრაში კონტინენტის ახალგაზრდული ჩემპიონატის პირველ დღესვე მიაღწიეს: კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ფრიდონ აბულაძე (55 კგ). „ოქრომდე“ ერთი მოგება დააკლდა ლერი აბულაძეს (63 კგ), რომელსაც ვერცხლის მედალი ერგო, ხოლო ნიკა შჩერბაკოვი (77 კგ) და გიორგი ქაცანაშვილი (87 კგ) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

ფრიდონ აბულაძემ ზედიზედ სძლია რუმინელ კონსტანტინ იონუტ ტუდორს (9:0), სომეხ გევორქ სუქიასიანს (8:0), აზერბაიჯანელ ზაურ ალიევს (8:5) და ფინალში გავიდა, სადაც დაძაბულ ბრძოლაში რუსეთის ნაკრების წევრ ანვარ ალახიაროვს 7:6 აჯობა.

ევროპის შარშანდელი ახალგაზრდული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ლერი აბულაძემ ლიტველი გიტის კულევიჩუსი (10:0), აზერბაიჯანელი ზაურ ნურიევი (2:0) და რუსი ადამ გაუჯაევი (10:1) დაამარცხა. გადამწყვეტი პაექრობა კი თურქ აბდულა ტოპრაკთან დათმო (2:8).

ნიკა შჩერბაკოვმა მერვედფინალში რუსეთის ნაკრების წევრ ხამიდ ისაევთან წააგო (0:8). რადგანაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ფინალში გავიდა, შჩერბაკოვი დამამშვიდებელში გადაერთო, სადაც ბულგარელი ტეოდორ ჩავდაროვ დომოზინოვი (5:3) და ლიტველი არმინას ლიგნუგარისი დაჯაბნა (3:1).

გიორგი ქაცანაშვილმა ნორვეგიელი რუბენ ელიას ბინის (8:0) და ხორვატი ფილიპ სმეტკოს (4:1) ძლევით ნახევარფინალს უწია, იქ კი რუს ილია ერმოლენკოსთან დამარცხდა (0:2). რეპეშაჟის ფინალში მან პოლონელ მიხალ ანდრეჟ დიბკას დააყრევინა ფარ-ხმალი (8:4). მსგავსი წარმატების მიღწევა შეეძლო რობინზონ ესაძესაც (130 კგ), მაგრამ დამამშვიდებლის ნახევარფინალი პოლონელ ტომას იაჩეკ ვავრინჩუკთან დათმო (3:4). ასპარეზობის მეორე დღეს კიდევ ხუთი ახალგაზრდა ქართველი „კლასიკოსი“ ჩაება მედლებისთვის ბრძოლაში.

გივი გაგუა

◎ ლეგიონერი

გოგა ბითაძე: „დასვენების დრო არ მაქვს, NBA-სთვის უნდა მოვემზადო“

19 წლის ქართველმა ცენტრმა გოგა ბითაძემ სერბულ „მეგა ბემაქსში“ უკანასკნელი მატჩი ჩაატარა და „ცრვენა ზვეზდასთან“ ნახევარფინალური სერიისმარცხით დასრულების შემდეგ, გუნდს დაემშვიდობა.

შეგახსენებთ, რომ გოგამ სეზონის გარკვეული ნაწილი, განათხოვრების წესით, მონტენეგროს საუკეთესო გუნდ „ბუდუჩნოსტში“ გაატარა და საერთო ჯამში, ფაქტობრივად, ყველა შესაძლებელი ინდივიდუალური ჯილდოს მფლობელი გახდა.

ბითაძე ადრიატიკის ლიგის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელად და საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, მასვე გადაეცა ევროლიგის ამომავალი ვარსკვლავის ჯილდო, გუშინ კი სერბული ლიგის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს.

ბელგრადელებთან მატჩის მერე ქართველმა ლეგიონერმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „იმის გათვალისწინებით, რომ „ცრვენა ზვეზდა“ სერბეთისა და ადრიატიკის ლიგის საუკეთესო გუნდია, ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, თუმცა, მცირედით იღბალი დაგვაკლდა. ამაყი ვარ, რომ „მეგა ბემაქსის“ წევრი ვიყავი და მწვრთნელებსა და თანაგუნდელებს მადლობას ვუხდი.

ახლა NBA-სთვის მოსამზადებელ პერიოდზე გადავერთვები და იმედი მაქვს, დრაფტზე რომელიმე გუნდი ამირჩევს. დასვენების დრო ნამდვილად არ მაქვს. კიდევ დიდი სამუშაოა გასაწევი“.



შეგახსენებთ, რომ NBA-ს მოახლოებული დრაფტი 20 ივნისს ნიუ იორკში, კერძოდ კი ბრუკლინის „ბარქლაი სენთერში“ გახლავთ დაგეგმილი და წინასადრაფტო სიტუაციის გათვალისწინებით, ბითაძეს მოწინავე ოცეულში არჩევა თითქმის გარანტირებული აქვს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მსოფლიო ღირსეული მარცხით დაიწყეს

20-წლამდელ მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატები 2008 წლიდან იმართება. ამ ხნის განმავლობაში მთავარი პრიზი ექვსჯერ ახალი ზელანდიის ნაკრებმა მოიპოვა. ახალგაზრდა „ოლ ბლექსს“ ქართველი მორაგბეები პირველად 2016 წელს შეხვდნენ და 0:55 დამარცხდნენ. წლევანდელ გათამაშებაში, რომელსაც არგენტინა მასპინძლობს, „უმცროსი ბორჯღალოსნები“ სტარტზევე დაუპირისპირდნენ ახალ ზელანდიას და დიდი წინააღმდეგობაც გაუწიეს. ქართველებმა მატჩის დასაწყისიდანვე შეუტიეს მეტოქეს და მე-7 წუთზე თედო აბჟანდაძემ ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიშიც გახსნა, მაგრამ მაშინ, როცა მოწინააღმდეგე კაცნაკლული დარჩა, ახალზელანდიელებმა ჩვენი ბიჭების შეცდომებით ისარგებლეს და წინაც გავიდნენ — 12:3. მეორე ტაიმის მესამე წუთზე ქართველებმა (ჯინჭარაძე) ლელო გაიტანეს, ზუსტად გარდასახეს კიდეც და ანგარიშში სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა — 13:19. ამის შემდეგ ბრძოლის სადავეები ახალგაზრდა „ოლ ბლექსმა“ იგდო ხელთ და საბოლოოდ 45:13 გაიმარჯვა. ჩვენს ჯგუფშივე სამხრეთმა აფრიკამ შოტლანდიას 43:19 მოუგო.

პირველ მატჩში საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: თემურ ჭიჭინაძე, ზურაბ ქავთარაძე, დემურ თაფლაძე, გივი ცინცაძე, კოტე მარჯანიშვილი, თედო აბჟანდაძე (კაპ.),მიხეილ ალანია; ნიკა ღვალაძე, ლუკა ნიორაძე, ლუკა აზარიაშვილი, ვახტანგ ჯინჭარაძე, ლუკა გელაშვილი, იოსებ გუშარაშვილი, კობა კოლოტაური, ბექა ყორიაული; ვანო კარკაძე, ზაურ თევდორაშვილი, გია ხარაიშვილი, იოანე იაშაღაშვილი, ტატო გვიმრაძე, გიორგი მარგალიტაძე, სანდრო მარგიანი, ლაშა ლომიძე, ირაკლი სიმსივე, ოთარ ლაშხი, პაატა ბურჭულაძე, დაჩი

პაპუნაშვილი, ლუკა ჭელიძე (მთავარი მწვრთნელი ილია მაისურაძე, მწვრთნელები — ლადო კილასონია, ზურაბ ამონაშვილი).

ჯგუფური ეტაპის მომდევნო შეხვედრებს საქართველოს ნაკრები 8 და 12 ივნისს გამართავს.

8 ივნისი. სამხრეთი აფრიკა — საქართველო (17:30), ახალი ზელანდია — შოტლანდია (22:30).

12 ივნისი. საქართველო — შოტლანდია (17:30), სამხრეთი აფრიკა — ახალი ზელანდია (22:30).

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

ნანას 4 ტურში 3.5(!) ქულა აქვს

ყაზანში გრძელდება პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც ოთხი ქვეყნის რვა უძლიერესი დიდოსტატი ქალბატონი მონაწილეობს, მათ შორის — ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე. შეგახსენებთ, რომ სტარტზე იგი ყაიმზე შეუთანხმდა ჩინელ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ თან ჩჟუნის, მომდევნო ორ ტურში კი უკრაინელი დები — 2017 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ანა მუზიჩუკი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მარია მუზიჩუკი დაამარცხა.

ქართველი დიდოსტატი მე-4 ტურში ევროპის სამგზის ჩემპიონ ვალენტინა გუნინას (რუსეთი) შეხვდა და 30-ე სვლაზე მეტოქეს საათი გააჩერებინა. ტურის დანარჩენი სამი პარტიიდან ორში ყაიმზე შეთანხმდნენ ანა მუზიჩუკი (უკრაინა) — ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი) და ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) — თან ჩჟუნი (ჩინეთი), ხოლო კატერინა ლაგნომ (რუსეთი) შავი ფიგურებით მარია მუზიჩუკს სძლია.

ოთხი ტურის შემდეგ: ძაგნიძე — 3.5, გორიაჩკინა — 3, თან ჩჟუნი — 2.5, ლაგნო — 2, გუნინა, კოსტენიუკი — 1.5-1.5, ა. მუზიჩუკი, მ. მუზიჩუკი — 1-1 ქულა.

ლაშა დიდია

◎ დანაკარგი

გარდაიცვალა ლენარტ იუჰანსონი

89 წლისა გარდაიცვალა უეფას ყოფილი პრეზიდენტი და ფიფას ყოფილი ვიცეპრეზიდენტი, შვედი ლენარტ იუჰანსონი, — გვამცნობს შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებ-გვერდი.

იგი უეფას 1990-2007 წლებში ხელმძღვანელობდა და პოსტზე ყოფნის ხანგრძლივობით რეკორდსმენი გახდა. 2007 წელს, არჩევნების შემდეგ, მან ეს თანამდებობა მიშელ პლატინის დაუთმო.

პარალელურად იუჰანსონი სტოკჰოლმის აიკ-ის პრეზიდენტიც გახლდათ და 2005 წელს ილის კვორუმის სახელობის პრესტიჟული ოქროს მედალი გადასცეს, რომელსაც შვედურ კულტურაში, მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ანიჭებენ.

სწორედ იუჰანსონის დროს მიიღეს საქართველო უეფას წევრად. მას ყოველთვის თბილი ურთიერთობა ჰქონდა ჩენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან.

კობა კობახიძე



◎ ისტორიის ნაკვალევი

მაკედონელის სიკვდილის საიდუმლო

ახალი ზელანდიის ქალაქ ოტაგოს უნივერსიტეტის მედიკოსმა, პროფესორმა **კეტრინ ჰოლმა** მაკედონიის მეფის, გამოჩენილი მხედართმთავრის ალექსანდრე III დიდის, რომელმაც თითქმის ნახევარი მსოფლიო დაიპყრო, გარდაცვალების მიზეზის დადგენა შეძლო.

ალექსანდრე მაკედონელი 323 წლის 10 ივნისის ბაბილონში 33 წლის ასაკში გარდაიცვალა. თვითმხილველთა თქმით, მის სიკვდილს სასწაული ახლდა: დაკრძალვამდე ექვსი დღის განმავლობაში მის სხეულს ხრწნა არ დაუწყია. ამის შესახებ, კერძოდ, ძველი ბერძენი მწერალი და ფილოსოფოსი პლუტარქე მოგვითხრობს.

არადა, დოქტორ კეტრინ ჰოლის აზრით, არავითარი სასწაული არ მომხდარა: დიდი ხელმწიფე იშვიათი ნევროლოგიური დაავადების მსხვერპლი გახდა, რის შედეგადაც დამბლა დაეცა. სწორედ ამის გამო იყო, რომ მეფის უმოძრაო სხეული გარდაცვლილად ჩათვალეს, თუმცა, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. არც ისაა გამორიცხული, რომ იგი სარკოფაგში ცოცხალი ჩაასვენეს და ისე დაკრძალეს.

როგორც ჩანს, იმ შორეულ დროში ვერავინ მიხვდა, თუ რის გამო განუტევა სული ალექსანდრე მაკედონელმა.

მის უდროო სიკვდილთან დაკავშირებით, აგერ უკვე თითქმის ორი ათასი წელია, ვერსიას ვერსია მოჰყვება. ზოგს მიაჩნია, რომ მეფე მოკლეს. უფრო საეჭვოა, რომ მოწამლეს. სხვების აზრით, ის ღვინოს ისე ეძალებოდა, რომ ერთხელაც ზედმეტი დალია და ალკოჰოლური პანკრეატიტის მსხვერპლი გახდა. მედიკოსთა მიერ წამოყენებულ ვერსიებს შორისაა მალარია, დასავლეთ ნილოსის ციებ-ცხელება, კიბო, ფილტვების ანთება და გრიპიც კი.

დოქტორმა კეტრინ ჰოლმა კი ალექსანდრე მაკედონელს გიიენ-ბარეს დიაგნოზი დაუსვა: ეს დაავადება, ჩვეულებრივ, ნერვების დაზიანებას იწვევს, რასაც **პროგრესირებადი დამბლა მოსდევს,** ამას კი წინ შემთხვევათა უმრავლესობაში Campylobacter pylori მიკრობებით გამოწვეული ინფექცია უსწრებს, რომლებიც წვრილ ნაწლავთა ანთებას იწვევენ. ეს სახიფათო მიკრობები ალექსანდრე მაკედონელის დროსაც იყო. ეს ამბავი კარგადაა ცნობილი, როგორც ის გარემოება, რომ ვიდრე ლოგინად ჩავარდებოდა, მეფე მუცლის ძლიერ ტკივილებს უჩიოდა.

როგორც ჩანს, დამბლადაცემულმა ალექსანდრემ ბოლოს გონება დაკარგა: ხმას არ იღებდა, გაუნძრევლად იწვა, დაკარგა მგრძნობელობა და იმდენად სუსტად სუნთქავდა, რომ მკვდარი ეგონათ. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ამალამ იგი გარდაცვლილად მიიჩნია, ხოლო იმის გამო, რომ დიდი სიცხის მიუხედავად, სხეულს ხრწნის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, ამან კარისკაცებზე მისტიკური შთაბეჭდილება მოახდინა. **„...მთელი ამ ხნის მანძილზე ცხედარი ცოცხალი სხეულივით იყო“,** — გაოცებას ვერ მალავდა პლუტარქე.

როგორც ჩანს, გვამად ალექსანდრე მაკედონელი უკვე სამარეში იწვა, თუმცა კი, ამ სამედიცინო დასკვნის გადამოწმება შეუძლებელია — ალექსანდრე მაკედონელის საფლავის ადგილსამყოფელი ჯერჯერობით მიგნებული არ არის.

ნინო ალექსანდრია

სულთათანა

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის მწიგნობართა კლუბის წევრები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ასოციაციის თავმჯდომარის ლია ნადარეიშვილის შვილის, შესანიშნავი ახალგაზრდა ვაჟკაცის

დათო გვასალიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ დიდი მეგობრული გულისტკივილით უსამძიმრებს ილია ჭავჭავაძის სახელობის ასოციაცია „მწიგნობრის“ თავმჯდომარეს, ფრიად პატივცემულ ქალბატონს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ქართული წიგნის ერთგულ ქომაგს ლია ნადარეიშვილს ვაჟკაცი შვილის

დათო გვასალიას

უდროოდ გარდაცვალების გამო. ჭირსა შიგან გამაგრებაო, ჩვენგან არ გესწავლებათ, ძვირფასო ქალბატონო ლია.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 39. მე-6 სად. მე-5 სართ. პანაშვიდი 6, 7 VI, დაკრძალვა 8, VI.

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი თანაუგრძნობს მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს ქეთევან მჭედლიძეს დედის ქალბატონ

იზა გორგიაშვილის

გარდაცვალების გამო.

თვითმკვლელობა წყალტუბოში

წყალტუბოში ახლაგაზრდა გოგონამ შეყვარებულის საფლავზე თავი მოიკლა, — ამის **შესახებ ინფორმაციას „თაიმერი“ ავრცელებს.**

ორი თვის წინათ, ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში გოგონას შეყვარებული მამაკაცი ავტოავარიაში დაიღუპა. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ხანძარი ავლაბარში

ძალაძ თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის ოთარ კერესელიძის ინ**ფორმაციით, თბილისში, ნასაკირალის 4 ნომერში, 3 სახლია დამწვარი.**

მისივე თქმით, ამ დროისთვის ცეცხლი ლოკალიზებულია და ადგილზე სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

„დაახლოებით 09:20 საათზე შემოვიდა შეტყობინება, რომ ავლაბარში, ნასაკირალის ქუჩა 4 ნომერში იწვოდა საცხოვრებელი სახლი. ცეცხლი გავრცელდა გვერდით მდგომ ორ სახლზეც. დამწვარია სამი სახლი. რამდენიმე წუთში, ადგილზე მობილიზებული იყო 15 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა, რამაც აგვაცილა თავიდან ცეცხლის კიდევ უფრო გავრცელება. დაშავებული არავინაა“, — თქვა მან.

განცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ, 2001 წლის 23 აპრილს გარდაცვლილი ბატონი ალექსანდრე ვასილის ძე პავლოვსკის (დაბ. 23.02.1925 წ. გარდაცვალების მოწმობა I-AK №760920) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუჩა ნონეშვილის №45 (ს-კ 05.30.09.048) 1/4 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. №10, ბინა 28.

ცოლმა ქმარი დაასაფლავა, 2 წლის შემდეგ კი მამაკაცი ცოცხალი ნახეს

რამდენიმე წლის წინათ, 54 წლის იგორ ვოროტნიკოვმა, რომელიც იმ დროისთვის აშშ-ში ცხოვრობდა, საკუთარი სიცოცხლე 2 მილიონ დოლარად დააზღვია. მისი თქმით, მას გული აწუხებდა. ანდერძის თანახმად, იგორის სიკვდილის შემთხვევაში აღნიშნული თანხა სადაზღვევო კომპანიას ოჯახისთვის უნდა გადაეხადა.

სადაზღვევო პოლისის გაფორმებიდან 1 წლის შემდეგ ვოროტნიკოვი 2 კვირით კიშინიოვში ჩავიდა. რამდენიმე კვირაში იგორი გულის შეტევით საავადმყოფოში დაწვა. მის სანახავად ცოლი ირინა და შვილი ჩამოვიდნენ, თუმცა მალე კვლავ შტატებში დაბრუნდნენ.

სამი თვის შემდეგ კიშინოვთან ახლოს მდებარე სოფელში, გზის პირას აღმოაჩინეს მამაკაცის გვამი, რომელსაც თან იგორ ვოროტნიკოვის საბუთები, მობილური ტელეფონი და სხვა პირადი ნივთები ჰქონდა. გვამი საგრძნობლად იყო გახრწნილი. გვამი კიშინიოვის სახელმწიფო მორგში გადაასვენეს. ექიმის დასკვნით, იგი გულის შეტევით გარდაიცვალა.

გვამის ამოსაცნობად მოლდავეთში ირინა ვოროტნიკოვა ჩამოვიდა. მან იგორი ამოიცნო და შვილებს შეატყობინა მამის გარდაცვალების თაობაზე. გვამს კრემაცია გაუკეთდა და ირინამ ფერფლი აშშ-ში ჩაიტანა, სადაც იგი მინეაპოლისის სასაფლაოზე დაკრძალეს, შესაბამისი რიტუალების დაცვით. შვილებზე მამის სიკვდილმა მძიმედ იმოქმედა.

გასვენებიდან 3 დღის შემდეგ ირინამ ოფიციალურად მოითხოვა სადაზღვევო თანხა. მათ ოჯახს გარდაცლილის გვამის ფოტო მოსთხოვეს, მაგრამ ვოროტნიკოვებს ყველაფერი კარგად ჰქონდათ დაგეგმილი — აფერაში ჩართული იყო ექიმიც, სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელიც და პოლიციელებიც. პოლიციელმა და ექიმმა-კრიმინალისტმა განაცხადეს, რომ გვამის აღმოჩენისას მათ თან ფოტოაპარატი არ ჰქონდათ. დანარჩენი საბუთები წესრიგში იყო და ირინამ 2 მილიონი დოლარი მიიღო. რამდენიმე წლის განმავლობაში ეს თანხა მოლდავეთის, შვეიცარიისა და უნგრეთის ბანკების საბანკო ანგარიშებზე გადაირიცხა.

მამის დაღუპვიდან 1 წლის შემდეგ, უფროსი შვილი მოლდავეთში მეგობრის ოჯახს სტუმრობდა, როდესაც მოულოდნელად მამა დაინახა. შოკირებულმა შვილმა განგაში ატეხა და მშობლები იძულებული გახდნენ, მისთვის „ორმილიონიანი საიდუმლო“ გაემხილათ.

თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ანონიმმა პირმა FBI-ში დარეკა და სამართალდამცავებს ყველაფერი შეატყობინა. მათ მთელი ოჯახი დაპატიმრეს და საქმე სასამართლოს გადასცეს. თავიდან იგორი აცხადებდა, რომ ის გაიტაცეს და ეს აფერა არა მისი, არამედ „უცნობი პირების“ მოწყობილია, რომელთაც სიკვდილის მუქარით აიძულეს იგი, მომხდარზე ხმა არ ამოეღო. პოლიციამ მათი ძებნა დაიწყო, მაგრამ უფროსი შვილი მალევე გატყდა და ყველაფერი გაამხილა.

2017 წელს ირინა ვოროტნიკოვას 3 წელი მიუსაჯეს, შვილებს 3-3 წელი პირობითი, 2018 წელს ნოემბერში, მინეაპოლისში დაიწყო იგორ ვოროტნიკოვის სასამართლო, რომელზეც განაჩენსაც ამა წლის ივლისში გამოიტანენ. ოჯახს ბუნებრივია, მიტაცებული 2 მილიონის დაბრუნება მოუწევს, ხოლო მოლდავეთის პოლიციას ერთადერთი თავსატეხი დარჩა — ვინ იყო ის გარდაცვლილი მამაკაცი, რომელსაც კიშინიოვის მორგში კრემაცია გაუკეთდა.



ზაფხული ცხელი გვექნება!

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2019 წლის ზაფხულის პროგნოზი ცნობილია.



„საერთაშორისო ექსპერტების დასკვნით, 2019 წლების ზაფხულის პერიოდში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მის შიდა რაიონებზე და კავკასიის რეგიონზე ამინდის ფორმირებაზე დომინანტურ როლს წყნარ და ატლანტიკის ოკეანეებში მიმდინარე და მოსალოდნელი პროცესები შეასრულებს.

აღნიშულის გათვალისწინებით, ზაფხულის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა ნორმაზე 1 გრადუსით მაღალია მოსალოდნელი, ნალექების რაოდენობა კი ნორმაზე მეტი იქნება.

საქართველოს ტერიტორიაზე ზაფხულის სეზონის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურა (ნორმა) დასავლეთ საქართველოს დაბლობზე +21, +22; მთაში +18, +20; მაღალ მთაში +15, +17; აღმოსავლეთ საქართველოს ბარში +19, +23; მთაში +17, +19; მაღალ მთაში +14, +15 გრადუსს შეადგენს.

საქართველოს ტერიტორიაზე ზაფხულის სეზონის ნალექების საშუალო მრავალწლიური რაოდენობა (ნორმა) დასავლეთ საქართველოს დაბლობზე 250-300 მმ, სანაპირო რაიონებში 550-600, მთაში 220-250 მმ, მაღალმთაში 250-350 მმ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 150-300 მმ, მთიან და მაღალ მთიან რაიონებში 200-300 მმ-ს შეადგენს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ექსპერტების კლიმატური პროგნოზის ფორუმზე (SE-ECOF-21) მომზადებული, 2019 წლების ზაფხულის სეზონის ამინდის პროგნოზი ეყრდნობა გლობალურ და ხმელთაშუა ზღვის, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონების დინამიკურ და სტატისტიკურ მოდელებს“.

იულია სუსლიაკი გამართლდა

უკვე არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც იულია და იური სუსლიაკების მშობლობას ადასტურებს. შესაბამისად, დადასტურდა საქართველოში 10 ბავშვის თანხლებით შემოსული, ამჟამად ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებული უკრაინელი ქალის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება. ადვოკატი ზურაბ თოდუა ამბობს, რომ ასევე დადასტურდა სხვა მტკიცებულებების ნამდვილობაც და უკვე დროა, საქმე შეწყდეს.

იულია სუსლიაკის ადვოკატს ზურაბ თოდუას გადაეცა ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც:

იულია სუსლიაკის მიერ საქართველოში ჩამოყვანილი 10 ბავშვიდან ოთხი მისი ბიოლოგიური შვილია;

10-ვე ბავშვი იულია სუსლიაკის მეუღლის, იური სუსლიაკის ბიოლოგიური შვილია.



ექსპერტიზა ჩატარდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და შესაბამისად, ის სანდოა საქართველოში მიმდინარე გამოძიებისთვის.

„ექსპერტიზის დასკვნას სრულად შეესაბამება ჩვენი ჩვენებები. ეს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იულია სუსლიაკს არც ერთი ბავშვი არ უყიდია და არც ერთი ბავშვი არ გაუყიდია. ამ და ჩემს ხელთ არსებულ სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით შექმნილია სრული საფუძველი, რომ დღესვე შეწყდეს გამოძიება“, — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ ადვოკატი თოდუა.

მსოფლიო ავიაციაში მეტი ქალის გამოჩენაა მოსალოდნელი

ავიაკომპანიების ხელმძღვანელობა ქალების კარიერულ ზრდაზე მეტი ყურადღების გამახვილებას ითხოვს. Air New Zealand-ის აღმასრულებელი დირექტორის კრისტოფ ლიუკსონის განცხადებით, ამ თემაზე მრავალი კონფერენცია იმართება, თუმცა ლაპარაკის მეტი არაფერი კეთდება.

Qatar Airways-ის აღმასრულებელი დირექტორის მოსაზრებით, აუცილებელია, შეიცვალოს ის დისბალანსი, რაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე კაცების დომინანტობაში გამოიხატება. ავიაკომპანიების ხელმძღვანელებმა აუცილებლად უნდა იზრუნონ იმაზე, რომ გენდერული დისბალანსი დარეგულირდეს - მიაჩნიათ Qatar Airways-ში.

როგორც კომპანიის ხელმძღვანელობაში აცხადებენ, კადრების შერჩევისას დამკვიდრებულ სტერეოტიპზე უარი უნდა ითქვას და ქალებს დასაქმების ისეთივე შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, როგორც ეს კაცებს აქვთ. მათი თქმით, აუცილებელია ასევე შეიცვალოს ქალთა შრომის ანაზღაურების პრინციპი და ის კაცებისას გაუთანაბრდეს.

Flybe-ის აღმასრულებელი დირექტორის კრისტინა უორმირუაირდერის განცხადებით, ავიაციაში ქალთა როლის გასაზრდელად ბრიტანეთშიც ბევრი არაფერი კეთდება და საქმე ლაპარაკის იქით არ მიდის, ექსპერტების და სპეციალისტების მოსაზრებები საკონფერენციო დარბაზებს არ სცდება. Flybe-ში ფიქრობენ, რომ საბოლოო მიზანი ავიაინდუსტრიაში ქალებსა და კაცებს შორის სრული პარიტეტის მიღწევა უნდა იყოს. საკადრო თვალსაზრისით ამ დარგში ქალების დეფიციტი არ შეიმჩნევა, შესაბამისად საავიაციო ინდუსტრიამ ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი ქალების როლის ზრდას და მათ ხელმძღვანელ თანამდებობებზე უფრო აქტიურ დაწინაურებას.

„მფრინავი გიტარა“

ნიდერლანდურმა ავიაკომპანია KLM-მა საზოგადოებას ახალ თვითმფრინავთან დაკავშირებით საკუთარი გეგმები გააცნო. თვითმფრინავი ავიაკომპანიის ე.წ. Flying-V-ის ფლოტში შევა. თვითმფრინავს V-ს ფორმა ექნება.



ახალი თვითმფრინავი 20%-ით ნაკლებ საწვავს გამოიყენებს, ვიდრე Airbus A350 იყენებს. მას იგივე რაოდენობის მგზავრის გადაყვანა შეეძლება, ვიდრე Airbus-ის ზოგიერთ მოდელს შეუძლია. საუბარია 314 მგზავრის გადაყვანაზე.

თვითმფრინავი გიტარას წააგავს და ამიტომ მას ელეტრონული გიტარის პატივსაცემად, რომელსაც ჯიმ ჰენდრიქსი და კინგ რიჩარდსი იყენებდნენ, Gibson Flying-მ დაარქვეს.

დრონების შოუ ჩინეთში

უპილოტო საფრენმა აპარატებმა ღამით ცაზე სამგანზომილებიანი ფიგურები შექმნეს, რომლებიც ცისარტყელასავით ყველა ფერზე ანათებდნენ. ჩინეთის პროვინცია გუიჯოუში გამოფენის ფარგლებში დრონების შოუ მოეწყო.

გამოფენა, რომელიც უკვე მეხუთე წელია, ტარდება, საკმაოდ პოპულარულობით სარგებლობს. სწორედ ამ გამოფენაზე ხდება ინოვაციური ტექნოლოგიების გამოფენა.



წელს China 6nternational Big Data 6ndustry Expo 2019-ს რეკორდული რაოდენობის ვიზიტორი ჰყავდა — გამოფენაზე 59 ქვეყნიდან 448 კომპანია იყო წარდგენილი.

გამოფენის ყველაზე ემოციური მომენტი იყო დრონების შოუ, რომელშიც სულ 526 დრონი მონაწილეობდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7648; ევრო - 3.1110;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5071;
100 რუბლი - 4.2369; თურქული ლირა - 0.4746;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6305;
1000 სომხური დრამი - 5.7660.

ამინდი 6 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+32
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge